საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 2 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. ხანგრძლივი განცხადება ჩვეულებრივ ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა მოთავსებულია: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 275 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 275

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79.

სამუდამოთ გულმოკლული დები: პელაგი ნიკოლოზის ასული შარაშენიძე, სონია შარაშენიძე კოპლატაძისა, ნინა შარაშენიძე ლომჯარიასი, სიძეები: გრიგოლ ქრისტეფორეს ძე კოპლატაძე, თომა საყვარელის ძე ლომჯარია ვაუწყებთ ნათესავთა და ნაცნობთ რომ 5 დეკემბერს გარდაცვალებიდან ორი წლის თავზე ქ. ოზურგეთის სობოროში გადახდილ იქნება პანაშვიდი ჩვენთვის ძვირფასის და დაუვიწყარის

მარო ნიკოლოზ შარაშენიძის ასულის იმნაძისას

სულის მოსახსენებლად. (3829—2—2)

ივანე ბესარიონის ძე იმნაძე პაწია შვილებით; მიშა, ნუცა და გოგითი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ რომ კვირას 5 დეკემბერს გარდაცვალებიდან ორი წლის თავის შესრულების გამო ქ. ოზურგეთის სობოროში გადახდილ იქნება პანაშვიდი, პირველის ძვირფასი მეუღლის ხოლო მეორენის უდროოთ დაკარგულის საყვარელ დედის

მარო ნიკოლოზ შარაშენიძის ასულის იმნაძის

სულის მოსახსენებლად. (3829—2—2)

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი მეუღლე თედორე, შვილები: ეგრაფინა, ვერიკო, გულჩინა, ევგენია, ვალიკო და ვახტანგი კეშელავები, დედა ფატმანე, მამა ეფრემ, დები: ჟოზეფინა, ნარიონბი და ზინა, ძმები: გიორგი და დომენტი უშვერიძეები, დედამთილი რუსუდანი, მაზლი სოლომონ, სიძე სამსონ შენგელია, რძლები, მულები, ძმისწულები და დისწულები, მაზლის წულები და მულის-წულები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ ხუთშაბათს, 2 დეკემბერს ს. კოხნარის თემში (გურია) იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორი წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის და მათთვის უძვირფასესი ადამიანის

ნატალია ე. უშვერიძის ასულის კეშელავას

სულის მოსახსენებლათ. (3845—1—1)

ქართველ მსახიობთა კავშირის საბჭო აცხადებს საზოგადოების საყურადღებოთ, რომ დღეს, 2 დეკემბერს ნაშუადღევის 2 საათზე ქაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში დანიშნულია პანაშვიდი

ვლადიმერ სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილის

სულის მოსახსენებლად. (ნ. 1—1)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

კარლ კაუცკის ახალი წიგნი

სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან

გამოცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

წიგნი ღირს 70 მ. წიგნების შეძენა შეიძლება გაზ. „ერთობის“ კანტორაში.

მეოთხე რაიონული კოლექტივი

თანახმად თავისი 18 ნოემბრის მორიგი საკითხის დადგენილებისა, ს. ს. დ. მ. პ. ქ. ორგ. მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყველა ისინი, ვინც მიმდინარე წელს **10 დეკემბრამდე არ შემოიტანს, საწევრო გადასახადს**, 10 დეკემბრიდან გამორიცხულ იქნება პარტიიდან და მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პარტიულ ორგანოებში. (ნ. 3—2)

სახელმწიფო თეატრი

ხუთშაბათს, 2 დეკ. საბალეტო წარმოდგენა მორდკინისა **ჟიზელი**. პარასკევს 3 დეკემბერს ქართულ ენაზე ოპერა **„დალატი“**. შაბათს, 4 დეკემბერს ოპერა მუშებისათვის **„მეფის საცოლე“**. კვირას, 5 დეკემბერს **ქეთო და კოტე** დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, დეკემბრის 4-ს
სამშაბათს, დეკემბრის 7 ს
ხუთშაბათს, დეკემბრის 9 ს

პირველად ქართულ სცენაზე
ორიგინალური ტრაგედია

ბერდო-ზმანია
ალ. შანშიაშვილისა.

დეკორაციები და კოსტიუმები მხატვრის
ვალ. სიდამონ-ერისთავისა.

მუსიკა დ. არაყიშვილისა.
ბალეტი და ხორო.

რეჟისორი ალ. ახმეტელი.
(ნ. 3—1)

ბილეთები კასაში.

იყიდება

მანდარინები ხელმისაწვდომ ფასებში ქუთებით

მიწათ-მოქმედების სამინისტროს მაღაზიაში

რუსთაველის პროსპექტი № 24. (ნ. 4—4)

დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ

ობოლი მუშის

მოთხრობები

„საპატიმროს დღიურიდან“

1 წამებულნი, 2 ახალი.

გამოცემა უშანგი ელიავასი. იყიდება რკინის გზის ყველა კიოსკებში, კანტორა „განათლებაში“ და სხვაგან. (ნ—1)

რა მოგვცა ბათომის გარშემო ატეხილმა დავამ?

იმ ალიაქოთს, რომელიც ატეხა საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ბათომის გარშემო და რომელსაც მხარი დაუჭირა ჩვენებურმა კომუნისტურმა პრესამ, დღეს ერთნაირი საერთო დასკვნა შეგვიძლიან გავუკეთოთ. ჩვენს წინ აწყვია რამდენიმე ოფიციალური დოკუმენტი ამ საკითხის შესახებ. ამ დოკუმენტებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია უკანასკნელი ნოტა ჩიჩერინისა დიდი ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრის კერზონის მიმართ.

ამ ნოტაშია თავმოყრილი მთელი ის მიწერ-მოწერა, რომელიც ჰქონია საბჭოთა რუსეთის მთავრობას ინგლისის მთავრობასთან. ამ მიწერ მოწერიდან საბოლოოთ ირკვევა მხოლოდ ის, რომ ეს ორი მხარე ერთმანეთს უნდობლად უცქერის და ერთი-ერთმანეთს აბრალებს ვერაგულს ზრახვებს საქართველოს მიმართ. მთელს მიწერ მოწერაში არც ერთის სიტყვიდან არა ჩანს, რომ თვით საქართველოს რაიმე მონაწილეობა მიეღოს ამ ზრახვების განხორციელებაში. ცხადათ ირკვევა სრული უსაფუძვლობა იმ ეჭვებისა, რომელიც შეიტანა საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ ჩვენს ნეიტრალობის გულწრფელობაში.

დღეს ჩიჩერინი მხოლოდ დიდ ბრიტანეთის ზრახვების წინააღმდეგ აცხადებს პროტესტს და ერთი სიტყვითაც არ იხსენიებს საქართველოს მონაწილეობას. ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ თავის მხრით, ინგლისის მთავრობას[illegible] შინებია საბჭოთა რუსეთის გეგმისა ბათუმის დაჭერის შესახებ და მის ნოტაში არავითარი ეჭვი არ ყოფილა შეტანილი საქართველოს ნეიტრალიტეტის სიმტკიცეში.

ამ ალიაქოთიდან ერთი რამ აშკარად და საბოლოოდ გამოირკვა—ის, რომ საქართველოს უწარმოებია პირდაპირი და პატიოსნური პოლიტიკა, რომ ის წმინდაა თავის მოქმედებაში, რომ ის შორს არის ყოველ იმპერიალისტურ განზრახვებში მონაწილეობისგან, რომ არავითარი მტაცებლურ გეგმებში მას არ ჰქონია არავითარი მონაწილეობა, რომ ის მედგრათ იცავს თავის დამოუკიდებლობას, თავის ტერიტორიის ხელშეუხებლობას. ფიქრადაც არ მოუვა არავითარი კომბინაცია, რომელიც იქნება მიმართული დამოუკიდებლობის და ტერიტორიის ხელშეუხებლობის შებღალვისაკენ, რომ იგი არავის ნებას არ მისცემს ჩვენი რესპუბლიკა გადააქციოს ბაზად რაიმე იმპერიალისტურ და თავდასხმითი მიზნების განსახორციელებლათ. ამ ფაქტის გამოაშკარავება როგორც ანტანტის, ისე საბჭოთა რუსეთის თვალში ჩვენთვის დიდი შენაძენია: ამიერიდან იმას ველარავინ მოიმიზეზებს, რომ საქართველო ერთი რომელიმე მხარის სასარგებლოდ თავის ნეიტრალობას არღვევსო, და ამას ვერავინ გამოიყენებს საბაბათ, საქართველოზე თავდასხმის გასამართლებლად. მაშასადამე ამ ალიაქოთიდან საქართველო ზნეობრივად გამარჯვებული გამოდის.

მაგრამ ჩიჩერინ კერზონის მიწერ მოწერას ჩვენთვის კიდევ მეორე მხრივ აქვს მნიშვნელობა. კერზონის ნოტაში, რომელიც მან ჩიჩერინს გაუგზავნა, გამოთქმული ყოფილა შიში, რომ „ბათომის თავისუფლებას და საზოგადოთ საქართველოს დამოუკიდებლობას საფრთხე ელის რუსეთის მთავრობის მხრითო.“ ჩიჩერინი, თავის მხრით, ამნაირ ცნობას აწვდის საქართველოს წარმომადგენელს გერასიმე მახარაძეს: „მოკავშირე მთავრობათა მიერ საკითხია აღძრული სამხედრო ძალებით ბათომის ოკუპაციის შესახებ; მათ განზრახვა აქვთ თავისი ესკადრები და ჯარები გაგზავნონ საქართველოს ამ უდიდესი პორტის დასაჭერად. ასე ერთნაირია ის ბრალდებები, რომლებსაც ერთმანეთს უყენებს ორივე მოწინააღმდეგე მხარე. ერთიც და მეორეც აცხადებს, რომ საქართველოს ხელშეუხებლობის დარღვევას იგი ვერ მოითმენს: სამწუხაროდ თვით კერზონის ნოტა ჩიჩერინისადმი ჩვენ არ მიგვიღია, მაგრამ ჩვენთვის დიდი რამ არის ისიც, რომ ამ ნოტაში ყოფილა დიდი ბრიტანეთის პროტესტი საბჭოთა რუსეთის განზრახვების გამო. თავის მხრით საბჭოთა რუსეთის ნარკომიც ასე ასაბუთებს საქართველოს ხელშეუხებლობას:

„ანტანტის ადმირალების და გენერლების ბათომში მოსვლით მთელი საქართველო მათ ბატონობაში ჩავარდება და მისი დამოუკიდებლობა გაქრება და უშინაარსო სიტყვად გადიქცევა“.

ინგლისის მთავრობის პროტესტი საბჭოთა რუსეთის განზრახვების გამო გულისხმობს, რომ იგი აუცილებლად აღიარებს საქართველოს ხელშეუხებლობას. ჩიჩერინის ნოტაშიც ეს პირდაპირ და მკაფიოდ არის აღიარებული:

„**რუსეთის მთავრობა**, სწერს იგი კერზონს, **მუდამ სასტიკი მომხრე ყოფილა საქართველოს დამოუკიდებლობისა და არავითარ შემთხვევაში არ შებღალავს მის უფლებებს, არც ბათომის დაჭერით, არც სხვა რაიმე მოქმედებით**“.

ამნაირად ორი უმთავრესი ძალა, როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი ევროპა, როგორც ანტანტა, ისე საბჭოთა რუსეთი ქვეყნის წინაშე აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობის ხელშეუხებლობას. ეს ორმხრივი აღიარება შავით თეთრზეა დაწერილი და მას ცულითაც ვერ ამოშლი. კერძოთ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა ყველა ქვეყნების მუშათა ორგანიზაციების წინაშეც: „ჩვენ კიდევ მოვუწოდებთ ანტანტის მუშა-ხალხს ძმურ დახმარებისთვის... ჩვენ გულწრფელად გვწამს, რომ ძლიერი ჩარევა მუშათა კლასისა ჩაუშლის იმპერიალისტებს ამ ახალ გეგმებს“... (ე. ი. საქართველოს დამოუკიდებლობის შებღალვას),—ასე სწერს ჩიჩერინი გერ. მახარაძეს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი ამ ისტორიიდან საქართველო გამოვიდა არა მარტო ზნეობრივად განწმენდილი, არამედ პოლიტიკურადაც გამაგრებული.

მსჯელობა და ლაპარაკი

მსჯელობა და ლაპარაკი სენათ გადაიქცა. შეუწყვეტელი ლაპარაკი, გამუდმებული მსჯელობა. დღეს, ხვალ, ზეგ, ამ კვირაში, იმ კვირაში. ლაპარაკი და ლაპარაკი, ისევ ლაპარაკი, ისევ მსჯელობა, ისევ თავიდან და ასე „ცეკვა ისევ ბუხრიდან“. ბევრი, ძალიან ბევრი გვილაპარაკია. წინათ ლაპარაკს და მსჯელობას უდიდესი მნიშვნელობა ქონდა. მაშინ საქმეზე დროის დახარჯვა, მიუხედავათ სურვილისა, შეუძლებელი იყო, რადგან საქმესთან არავინ გვაკარებდა. ესეც არ ყოფილიყო—ლაპარაკი აუცილებელი იყო, რადგან პირველ რიგში სიტყვიერი თუ წერილობითი აგიტაცია იდგა. ხალხის მომზადება, მასში შეგნების შეტანა, გარკვევა ათასგვარი საჭირ ბოროტო საკითხებისა, დარაზმვა რევოლიუციონურ წრეებისა, მათი აღზრდა ძველი რეჟიმის დასამხობად — ყოველივე ეს ითხოვდა პირველ ყოვლისა ლაპარაკს და კიდევ ლაპარაკს. დაეცა ძველი რეჟიმი, მის ნანგრევებზე აღმოცენდა მრავალი სერიოზული საკითხები, რომლის ლაბირინტში გარკვევა საქმიანობასთან ერთად უმთავრესად ისევ და ისევ ლაპარაკს ითხოვდა. განვლო დრომ. შექმნილმა მდგომარეობამ მოითხოვა საქმიანობისა და მოქმედების პირველ რიგში დაყენება, მაგრამ ჩვენ მეტად გაგვიჭირდა „ძველი ჩვეულებიდან“ თავის განთავისუფლება და პირველ რიგში ისევ ლაპარაკი და მსჯელობა ჩადგა.

ვინ იტყვის, რომ ლაპარაკი და მსჯელობა საჭირო არაა, მარა დაუშვებელია დაუსრულებელი ლაპარაკი და მსჯელობა. აიღეთ მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც დღემდე ათჯერ მაინც უნდა გადაწყვეტილიყო. აი თუ გინდ ეკონომიური საბჭოს დაარსების საკითხი. რამდენიმე თვეა ამ საკითხს უტრიალებთ და მისი არსებობის საკითხი დღესაც გამოურკვეველია. და ეს მაშინ, როცა მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეულია, და უნდა იყოს მიქცეული, ეკონომიური პოლიტიკის გასაჯანსაღებლათ და მრავალი ზომების ცხოვრებაში სასწრაფოთ გასატარებლათ. ეკონომიურმა თათბირმა მიიღო მთელი რიგი დებულებათა. მიიღო და, თითქოს, ყველაფერი ამით გათავდა. ჩვენ ვერ ვხედავთ ამ დებულებათა გარშემო იმ გაცხარებულ და გამალებულ მუშაობას, რომელსაც ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ითხოვს და რომელიც დღითი დღე უარესდება. განსაკუთრებით ამ სფეროში ყოველივე და ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით ტრიალებს, აუცილებელია მისი ფეხ და ფეხ გაყოლა. ჩვენ კი ვდგევართ ერთ ადგილას და საშური დრო ლაპარაკს და მსჯელობას უნდება.

ჩვენ არ გვავიწყდება თქმულება: შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო. მეტად ბრძნულია ეს თქმულება. უეჭველია რომ ასე სჯობია. ნაუცბათევათ და ნაჩქარევათ შეიძლება საქმე წავახდინოთ. მარა გვაქვს კი დრო, რომ შვიდჯერ ვზომოთ და ერთხელ გადავჭრათ! ამის ნებას არ იძლევა დღევანდელი პირობები. ამიტომ, მუშაობის პროცესში შესაძლებელია დაუშვათ ასე თუ ისე შეცდომა, მარა ეს უფრო ნაკლებ საზარალო იქნება—ვინემ ეს დაუსრულებელი ლაპარაკი და მსჯელობა.

მეტი საქმიანობა—ნაკლები სიტყვიანობა; მეტი პრაქტიკული მუშაობა,—ნაკლები ზოგადი ხასიათის დებულებანი—აი მომენტის მოთხოვნილება, აი რას უნდა ექნეს გადამჭრელი მნიშვნელობა ჩვენს ყოველ დღიურ მუშაობაში.

განო.

მივხედოთ პარტიას

ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს და გვენგრევა პარტია!

და რაც უფრო ინგრევა პარტია, რაც უფრო ნელდება და კვდება პარტიული მუშაობა,—მით უფრო ინგრევა სახელმწიფო, მით მეტი სისწრაფით ირღვევა სახელმწიფოებრივი შემოქმედება!

იმიტომ, რომ დღეს ყველასათვის ცხადია და უდავო, რომ საქართველოს დემოკრატიის გადარჩენა, რომ მთელი ქართველი მშრომელი ხალხისათვის სახელმწიფოებრივი ნავთსაყუდარის შექმნა—მხოლოდ გაერთიანებულ და რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას შეუძლია!

ეს დაინახეს ბრმებმა, ისმინეს დაყრუებულებმა, შეიგნეს ჩვენმა მტრებმაც!

მაგრამ ეს საკმაოდ და მტკიცეთ შეგნებული არ გვაქვს თვითონ ჩვენ, არც მთელ პარტიას და არც თითეულ პარტიის წევრს.

ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ. ხშირათ იმასაც, რაც ჩვენი საქმე არ არის!

მაგრამ ჩვენ ღვთის ანაბარათ დავტოვეთ პარტია და წმინდა პარტიულ მუშაობას ზურგი ავუქციეთ. დროა ამ საშინელ გულგრილობას, ამ წარმოუდგენელ პარტიულ თვითმკვლელობას და სახელმწიფოებრივ დანაშაულს ბოლო მოეღოს.

ერთხელ და სამუდამოთ! ჩვენ უნდა გავაჩაღოთ პარტიული მუშაობა და გავაცოცხლოთ, გავაძლიეროთ პარტია!

პარტია კვლავ უნდა გახდეს უდიდესი პოლიტიკური და მორალური ძალა მთელ სახელმწიფოში.

მთელი პოლიტიკა უნდა იჭედებოდეს პარტიაში და მერმე მთავრობა პრაქტიკულად უნდა ატარებდეს ცხოვრებაში ამ პოლიტიკას.

პარტიამ უნდა დაუახლოვოს მშრომელი მასსა მთავრობას და უნდა დასძლიოს ის პირობები, რომელნიც სწყვეტენ და აშორებენ მთავრობას და ხალხს.

ძლიერი პარტია შექმნის მძლავრ მთავრობას, მაგრამ ეს მთავრობა იქნება უაღრესად დემოკრატიული და მუშური!

დღეს ჩვენ ხშირად უნებლიეთ ვივიწყებთ მუშის პირდაპირ ინტერესებს.

ძლიერი პარტია მას უფრო ნათლად და მკაფიოდ შეგვაგნებინებს.

დღეს ჩვენ ყველამ ცოტ-ცოტა ალვირი წავიხსენით და თავისუფალ ჯირითს შევეჩვიეთ,—ძლიერი პარტია ჩაგვაყენებს იმ ზნეობრივ კალაპოტში, რომელიც მებრძოლ დემოკრატიისათვის აუცილებელია!

დღეს ჩვენ ყველა გავიძახით საერთო გაჭირვებაზე, მაგრამ სრულიად არ გვაქვს ნათელი წარმოდგენა იმ აუტანელ ჯოჯოხეთზე, რომელშიაც ნადგურდება მუშათა კლასი.

ძლიერი პარტია აგვიხელს თვალებს და უფრო გაბედულად მოგვაძებნიებს სამოთხის კარებს!..

დღეს ჩვენ ჩვენი კერძო ცხოვრება ჩვენ საკუთარ საქმეთ გამოგვიცხადებია და ხშირად ვკეტავთ ამ კერძო ცხოვრების კარებს, რომ არავინ დაინახოს მრავალი სისაძაგლე ჩვენი კერძო კეთილდღეობისა.

ძლიერი პარტია ფართოთ გააღებს ამ კარებს და გვეტყვის, რომ დღევანდელ პირობებში ბოროტებაა კერძო ბედნიერებაზე ზრუნვა.

ჭეშმარიტ და თავდადებულ რევოლიუციონერისათვის დღეს შეუძლებელია კერძო კეთილდღეობაზე და საკუთარ ბედნიერებაზე ფიქრი!

ჭირთა თმენაში და ჭირთან ბრძოლაში ჩვენ ყველაზე წინ უნდა ვიდგეთ, აქ ჩვენ რიგორიზმის, სულიერ სისპეტაკის საუკეთესო მაგალითს უნდა ვიძლეოდეთ!

და ყოველსავე ამას ჩვენი პარტია გვასწავლის!

ამიტომ მეტი ყურადღება და მეტი სიყვარული პარტიას!

თითეული პარტიის წევრი პარტიის სრულ განკარგულებაში უნდა იყოს და ის დაუყონებლივ უნდა ასრულებდეს პარტიის ნებას.

თითეულმა პარტიის წევრმა განსაზღვრული ნაწილი თავისი დროისა და ქონებისა უნდა შესწიროს პარტიას!

მატერიალურათ ჩვენ ეხლავე უნდა დავეხმაროთ პარტიას.

მართალია, ჩვენ ვართ ღარიბნი, მაგრამ ჩვენა ვართ მრავალნი.

ჩვენ ეხლავე უნდა შევუდგეთ **პარტიულ ფონდის** შექმნას.

ყველა ქალაქებში და სოფლებში სადაც კი არსებობენ ს.-დემოკრატიული ორგანიზაციები, ყველგან, სადაც კი არიან პარტიის წევრები—უნდა დაიწყოს მუშაობა ამ ფონდის შესაქმნელათ!

ყველა ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა უნდა დაიწყონ კამპანია ამ ფონდის ირგვლივ!

და გახალისდება, დაიძვრის ჩვენი პარტია! და გალხვება ის ყინვა, რომელიც აწელებდა ჩვენში პარტიულ მუშაობის ცეცხლს!

ვისაც უყვარს თავისი ხალხი, ვისაც ჰსურს ხალხის ბედნიერება, ვინც ემსახურება მუშათა კლასის ინტერესებს და ვინც აშენებს ჩვენ სახელმწიფოს,—მან პირველ ყოვლისა უნდა მიხედოს სოციალ-დემოკრატიას! (ჩემის მხრივ პარტიულ რკინის ფონდში შემაქვს სამიათასი მანეთი*).

ვალიკო ჯუღელი.

ბათომის გარშემო

საქართველოს რუსულ „კომუნისტში“ მოთავსებულია შემდეგი ნოტები:

გერასიმე მახარაძის ნოტა ჩიჩერინისადმი.

მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ მიერ 16 ნოემბრის თარიღით გამოგზავნილ ნოტის შინაარსი მე უკვე გადავეცი ჩემს მთავრობას, რომელიც საქმის ფაქტიური მხარის შესახებ პასუხს არ დააყოვნებს. ამ ჟამად, მე როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელს არას გზით არ შემიძლია მივიღო თავის თავზე პასუხისმგებლობა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელსაც მიიღებენ საქართველოს გარეშე მყოფი ძალები ბათომის საკითხის შესახებ. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ იცის, თუ რა [illegible]ძიებით და მსხვერპლით ცდილობდა საქართველოს რესპუბლიკა ბათომის დაბრუნებას და როგორის გულის ფანცქალით ელოდა საქართველოს ხალხი ამ ქალაქის ბედის გადაწყვეტას. ბათომის საქართველოზე გადაცემის დღე იყო ერთ ერთ საზეიმო დღესასწაული საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, იმ ამბებმა, რომელიც უკანასკნელ ხანებში კავკასიაში ხდება, საბაბი მისცეს გარეშე ძალებს დაესვათ საკითხი ამიერ-კავკასიის ბედში ჩარევის შესახებ.

სომხეთის ნახევარი ნაწილის ოსმალთა ჯარების მიერ დაპყრობამ და მათ სვლამ საქართველოს საზღვრებისაკენ, ამიერ-კავკასია საფრთხის წინაშე დააყენა. ზოგიერთმა ბნელმა ელემენტებმა გააძლიერეს თავიანთი მოქმედება დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, როგორც რესპუბლიკის ფარგლებში, ისე მის საზღვრებთან, ამ ბნელ ელემენტებს იმედი აქვთ ოსმალეთის და მოკავშირეთა მიერ მხარის დაჭერისა. საქართველო იძულებულია ამ ჟამად საგრძნობი ნაწილი მცხოვრებლებისა მოგლიჯოს საწარმოვო შრომას და იარაღს ქვეშ დააყენოს, რომ დაიცვას რესპუბლიკა თავდასხმით გამოწვეულ უბედურებისაგან. საქართველო მუდამ იცავდა და მომავალშიაც ყოველგვარი ზომებით დაიცავს თავის დამოუკიდებლობას და ნეიტრალიტეტს, საიდანაც არ უნდა მოელოდეს მას საფრთხე, მაგრამ საქართველოს სურვილია, რომ ამ საქმეში მას დაეხმაროს რუსეთი, რომელთანაც ის ხელშეკრულებით არის შეკრული და რომელთანაც მეგობრობის განმტკიცებისაკენ ის ყოველნაირი საშვალებით მიილტვის. დიდათ საწუხაროა ის მოვლენა, რომ რუსეთის პოლიტიკა უკანასკნელ ხანებში ამ მხრით ყოველთვის არ მოიმართებოდა. მას შემდეგ, რაც აძერბეიჯანში საბჭოთა მთავრობა გამოცხადდა ექვსი თვის განმავლობაში საქართველოს ბაქოდან არ მიუღია ნავთი, რასაც შეეძლო გამოეწვია სარკინისგზო მოძრაობის და საქართველოს თავდაცვის უნარის შესუსტება, რომ საქართველოს არ ქონოდა მომარაგებული დიდძალი ქვანახშირი. ორთქმავლების გადასაყვანათ ქვა-ნახშირის ხმარებაზე გადასვლამ მოინდომა დიდი შრომის დახარჯვა. რომ საქართველოსათვის ნავთი მოეწოდებინათ, მაშინ ეს შრომა სხვა რამე უფრო სასარგებლო საქმეზე იქნებოდა მოხმარებული. საქართველო სრულებით არ არის დაინტერესებული იმაში, რომ პასუხისმგებლობა იმ ამბებზე, რომელიც უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკასიაში ხდება, დააკისროს რუსეთის მთავრობას,

---

*) აღნიშნული ფული რედაქციამ მიიღო. რედ.

დღეს

საბჭოთა რუსეთის მისიის ბეჭდვითი ბიუროს ცნობით სომხეთში დილიჟანისა და ქარავანსარაის რაიონების გლეხებმა აჯანყების დროშა აღმართეს. აჯანყებულებს სათავეში ჩაუდგა სომხეთის კომუნისტური პარტია, რომელმაც შეადგინა სომხეთის „რევკომი" და გამოაცხადა სომხეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. ახლათ დაარსებული „რევკომი" დახმარებას სთხოვს საბჭოთა რუსეთს.

შვეიცარიის პრესის ცნობით მოკლე ხანში გერმანიასა და მოკავშირე სახელმწიფოებს შორის ინტენსიური სავაჭრო დამოკიდებულება განახლდება.

შვეციის პრესის ცნობით საბჭოთა რუსეთს შვეციაში შეუკვეთია 2,000 ლოკომოტივი, გერმანიაში 100 მილ. მარკის საქონელი. ხოლო შეერთებულ შტატებში შეუსყიდია 118 ლოკომოტივი.

„აშხატავორის" ცნობით სომხეთ-ოსმალეთის დელეგაციების მოლაპარაკების დროს ოსმალეთის დელეგაციამ არ მიიღო დელეგატათ საბჭოთა რუსეთის მიერ დანიშნული ბუდუ მდივანი.

მაგრამ ამავე დროს საქართველოს არას გზით არ შეუძლია თავის-თავზე მიიღოს პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ხდება საქართველოს მთავრობის და ხალხის სრულიად დამოუკიდებლად, მის გარეშე. მე შემიძლია თქვენ, მოქალაქე სახალხო კომისარო, გაგიცხადოთ, რომ საქართველო უკანასკნელ შესაძლებლობამდე შეეცდება მშვიდობიან გზით გადაჭრას ყველა ის საკითხები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბედთან არის დაკავშირებული და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსეთი თავის მხრით ყოველგვარ მასგან დამოკიდებულ ზომებს მიიღებს კავკასიაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ, რომელიც (მშვიდობიანობა) ერთნაირად საჭიროა, როგორც ამიერ-კავკასიის ხალხთათვის, ისე რუსეთისათვის და ეს აქნება უსწორესი გზა ამიერ-კავკასიის ბედში უცხო ძალების ჩარევის საფუძვლების მოსასპობათ. მიიღეთ ჩემი გულწრფელი პატივისცემა და ერთგულება, მოქალაქე სახალხო კომისარო.

საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი **გერასიმე მახარაძე.**

ჩიჩერინის მიმართვა

რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელს საქართველოში.

მუშათა რუსეთის რევოლიუციონურ წითელ არმიის განსაკუთრებულმა გმირობამ და თავგანწირვამ ბოლო მოუღო ვრანგელის კონტრ-რევოლიუციონურ ხროვათა მხეცურ აქტებს. რუსეთის მშრომელ მასის უძლეველ წყრომამ გაანადგურა მისი ყოფილ დამმონავებელთა უკანასკნელი ნაშთები. ეხლა რუსეთის ხალხისთვის გახსნილია გზა ახალი სოციალური წყობილების მშვიდობიან აღმშენებლობისა და მისი ცხოვრებისა და შრომის ძირითადი გარდაქმნისა; მაგრამ მუშათა რევოლიუციის ულმობელ მტრებს არ სძინავთ და მსოფლიო რეაქცია ამზადებს ახალ მახინაციებს, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული ხელი შეუშალოს რუსეთის მასას მთელის არსებით ხელი მოკიდოს მშვიდობიან შრომას. ისინი ხელახლად ცდილობენ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკას მძიმე ჭრილობები მიაყენონ. ანტანტის ოფიციალური რადიო-სადგურმა მთელ მსოფლიოს აუწყა იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა მთავრობები [illegible] საკითხს ბათომის სამხედრო ძალებით ოკუპაციის შესახებ და რომ ეს მთავრობები ფიქრობენ გაგზავნონ თავიანთი ესკადრები და ქვეითა ჯარები საქართველოს ამ დიდ ნავთსადგურის, ამ ახლო აღმოსავლეთის კარების დასაკავებლად. წინდაწინვე ანტანტის პრესა ავრცელებდა პროვოკაციულ ცრუ ხმებს, თითქოს თათრები ემხადებიან დაანგრიონ და გაანადგურონ სომხეთი და საქართველო სწორეთ იმ დროს, როცა რუსეთის საბჭოთა მთავრობა თავის შუამდგომლობას სთავაზებდა როგორც ოსმალეთს, ისე სომხეთს და როცა ოსმალეთის მთავრობამ მიიღო ეს შუამავლობა და შეაჩერა თავისი ჯარების შეტევა.

ზავი და თვითეულ ერის თვითგამორკვევის უფლება, როგორც წინათ, დღესაც არის მუშათა-გლეხთა რესპუბლიკის ლოზუნგი და საბჭოთა მთავრობის მისწრაფებათა მიზანია როგორც ახლო აღმოსავლეთში ისე სხვა ქვეყნებში ზავის დამყარება ისევე, როგორც ყველა ხალხთა მშვიდობიანი განვითარება. მაგრამ მსოფლიო რეაქციას არ სძინავს და თანდათან განაგრძობს თავის საქმეს. ანტანტის მთავრობებს განზრახული აქვთ ახალი სისხლის ღვრა გამოიწვიონ და მთელ თავიანთ ძალღონეს მიმართავენ როგორც ახლო აღმოსავლეთში ისე მუშათა დიდი რესპუბლიკის სხვა ფრონტებზე ომისა და სასაკლაოს გასაგრძელებლათ. ანტანტის მიერ ბათომში სამხედრო გემებისა და ქვეითა ჯარების გაგზავნა ნიშნავს იმას, რომ კონტრ-რევოლიუციონერთა ავანტიურის წიგნში იწერება ახალი ფურცელი და ამტკიცებს იმას, რომ მსოფლიო რეაქცია არ უარყოფს მიდრეკილებას მუშათა კლასის საქმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ბათომში ანტანტის გენერლებისა და ადმირალების გამოჩენით მთელი საქართველო მათ ძალა-უფლებას ქვეშ მოექცევა, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობა იქნება უბრალო ხმა, მოკლებული ყოველივე რეალურ მნიშვნელობას. ამ რიგათ შეიქმნებოდა ანტანტის რეაქციონურ მთავრობის სამხედრო ავანტიურის ახალი ბაზა და მათი მჭრელი ხმლები დაემუქრებოდა საბჭოთა მთავრობის მოკავშირე ადერბეიჯანის რესპუბლიკას და ბაქოდან მთელ სამხრეთ რუსეთისათვის ძლიერი მუქარა იქნებოდა. ბათომი, როგორც სამხედრო ბაზა ანტანტის იმპერიალიზმისა, გადიქცეოდა ახალ ფრონტად საბჭოთა მთავრობისათვის სამხრეთში, რის შედეგათ მთელი კავკასია ცეცხლში გაეხვეოდა. ანტანტის მთავრობათა აგენტებს, რომელნიც თავიანთ ოქროების წყალობით არევ დარევას აწარმოებენ ძველი სოციალური წყობილების მომხრეებში, მოჰყვება ჯარი, რომელიც გაანადგურებს ხალხის რევოლიუციონურ მონაპოვარს. რუსეთის მუშებმა და გლეხებმა უნდა აჩქარონ ადერბეიჯანის მოძმეების დასახმარებლათ და ხელ ახლად მიმართონ თავიანთ ძალ ღონე სასტიკ ბრძოლაში იმპერიალისტების თავდასხმის წინააღმდეგ. ჩვენ ხელ ახლად მოუწოდებთ ძმურ დახმარებისაკენ ანტანტის შრომელ მასას, რომლის ძლიერი ხმა ეხლაც [illegible] მოსპობს ყოველგვარ ინტრიგებს, ჩვენ გულწრფელად იმედს გამოვთქვამთ, რომ ანტანტის მუშათა კლასის ძლიერი ჩარევა ხელს შეუშლის იმპერიალიზმის ახალ გეგმების შესრულებას და დაგვეხმარება ახლო აღმოსავლეთში დავამყაროთ განვახორციელოთ ზავი და თვითგამორკვევა ყველა ხალხთათვის, ის მიზანი, რომლისათვის იბრძვის საბჭოთა მთავრობა.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **ჩიჩერინი.**

მოსკოვი, 18 ნოემბერი, 1920 წელი.

კოოპერატივთა წარმომადგენლების ყრილობისადმი

ძვირფასო ამხანაგებო! მადლობას მოგახსენებთ იმ პატივისცემისათვის, რომელიც თქვენ აღმომიჩინეთ მე, ამირჩიეთ რა საპატიო თავმჯდომარეთ. სამწუხაროთ, მე არ შემიძლია შევუდგე თავმჯდომარეობის მოვალეობის ასრულებას, ერთ წუთსაც კი, ვინაიდან ექიმმა კარში გამოსვლა ამიკრძალა. მე დიდის სიამოვნებით მოვიდოდი, რომ დამემტკიცებია თქვენთვის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ვაძლევ მე თქვენს მუშაობას. მიწათ მოქმედების ქვეყანაში კოოპერატივების წინაშე ბევრად უფრო დიდი მიზნები სდგას, ვინემ მრეწველობის ქვეყანაში. კოოპერაცია აქ უნდა გახდეს შემაკავშირებელი სოფლის მეურნეობისა და ქალაქის წარმოებისა. ამავე დროს, კოოპერატივებმა უნდა ისარგებლონ საზოგადოებრივ წარმოების მეთოდებით, რომელიც გაცილებით უფრო ელასტიური და თავისუფალია, ვიდრე ის წარმოება, რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო ბიუროკრატია რაც უფრო მცირე არის რომელიმე მრეწველობის დარგში კარტელების ან ტრესტების მოწყობის შესაძლებლობა, —მით უფრო ნაკლები საბუთია მის მონოპოლიზაციისათვის, მით უფრო მეტ თავისუფლებასა და ელასტიურობას საჭიროებს ის.

და ამიტომ მიწის დამმუშავებელ ქვეყნების საწარმოო განვითარებისათვის სოციალისტურ მიმართულებით—კოოპერატიულ მოძრაობას შეიძლება ჰქონდეს ძლიერ დიდი მნიშვნელობა.

ვუსურვებ თქვენს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას და თქვენს მოძრაობას კი, რომელიც ასე ბევრ იმედებს იძლევა მომავალში,—ბრწყინვალე განვითარებას.

ამხანაგური სალამი თქვენი **კ. კაუცკი.**

თფილისი, 26 ნოემბერი 1920 წ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

1 დეკემბერი.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

ბელორუსიის კომ პარტიის ყრილობა

მოსკოვი 30 ნოემბერი. ბელორუსის კომ. პარტ. მესამე ყრილობა დასრულდა.

სავაჭრო დამოკიდებულება რუსეთთან

რუმინიის გაზეთები სწერენ: წითელი არმიის გამარჯვების შემდეგ საბჭოები წარმოადგენენ რუსეთის ერთად ერთ მტკიცე მთავრობას, რომელთაც ნებით თუ უნებლიეთ ანგარიში უნდა გაუწიოთ.

ვრანგელის ლტოლვილი ჯარის კაცები

კონსტანტინოპოლის საავათმყოფოები სულ სავსეა ვრანგელის დაჭრილი ჯარისკაცებით. დაჭრილებს ათავსებენ ცარიელ იატაკზე. როგორც სჩანს ვრანგელის ჯარს სამხრეთ სლავიაში გააგზავნიან.

რუსეთი და ფინლიანდია.

მოსკოვი. 30 ნოემ. ფინეთის პარლამენტში დაიწყეს რუსეთსა და ფინეთს შორის დადებულ ხელშეკრულების განხილვა.

გერმანიის ნოტა.

გერმანიის მთავრობამ ჰოლანდიასა და დანიას გაუგზავნა ნოტა იმის გამო, რომ ანტანტის საკონტროლო კომისიის ბრძანებით სიმაგრის დანგრევის გამო, სრულებით დაკეტილია ჰელგოლანდის ნავთსადგური. მიუხედავათ იმისა, რომ გერმანიის მთავრობამ [illegible] ნავთსადგურის ნაწილი დაუკეტავი დაეტოვებიათ მუშათა ფლოტისთვის, რომლის ინტერესებიც ნავთსადგურის უქონლობის გამო მეტად დაზარალდა.

მაღაროების ნაციონალიზაციის გამო.

„ფრანკფურტერ-ცაიტუნგი" ეხება მაღაროთა ნაციონალიზაციის საკითხსა და სწერს: კერძო კაპიტალის სრული გაუქმება იქნებოდა აშკარა ბრძოლა კაპიტალისა და შრომის შორის. ამიტომ უნდა გამოიძებნოს ისეთი კომპრომისი, რომლითაც უნდა შეიცვალოს კაპიტალის ეხლანდელი მდგომარეობა, ისე კი, რომ იგი სრულიად არ განადგურდეს.

ლიონის ცნობები

კონფერენცია ლონდონში.

ლონდონში მოლაპარაკება ამ ჟამად შეწყვეტილია ლეიგის პარიზს გამგზავრების გამო. ინგლისის მთავრობა დარწმუნდა, რომ მას არ შეუძლია ხელი შეუშალოს კონსტანტინეს დაბრუნებას. მხოლოდ ინგლისის მთავრობას საჭიროთ მიაჩნია მოსთხოვოს ყოფილ მეფეს სერიოზული გარანტია. სამშაბათს გაგრძელდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ინგლისის წარმომადგენლებს — ლორდ კერზონ და სერგეი კროუს, საფრანგეთის—ბერტელო და პოლ კამბონისა და იტალიის—გრაფ სფორცის შორის.

გერმანიის ნოტა.

გერმანიის მთავრობამ ელჩთა კონფერენციას მიმართა ნოტით, სადაც აცხადებს პროტესტს ბადენის ტბაზე განადგურებულ 7 ჰიდროპლანის სამაგიეროთ დირიჟაბლების მოთხოვნის გამო. იმ შემთხვევაში, თუ მოკავშირეები პროტესტს უსაფუძვლოდ ჩასთვლიან, გამოთქმულია აზრი, რომ ეს საკითხი არბიტრაჟის საშუალებით გადაწყვიტონ.

პუანკარეს წერილი.

„მორნინგ პოსტმა" გამოაქვეყნა პუანკარეს წერილი საფრანგეთისა და ინგლისის დამოკიდებულების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა შორის საგარეო პოლიტიკის საკითხების შესახებ არსებობდა მცირედი უთანხმოებანი, რომელსაც არასოდეს ხელი არ შეუშლია საფრანგეთისა და ინგლისის მეგობრულ დამოკიდებულებისათვის. პუანკარე უარყოფს ინგლისის ზოგიერთი გაზეთების მიერ წამოყენებულ ბრალდებას საფრანგეთის წინააღმდეგ, რომელიც საფრანგეთის იმპერიალიზმს ეხება და აღნიშნავს, რომ საფრანგეთი იმპერიალისტური ქვეყანა არ არის, მას სურს მხოლოდ ვერსალის ხელშეკრულების სისწორით ასრულება. პუანკარე ამართლებს აგრეთვე საფრანგეთ-ბელგიას შორის დადებულ სამხედრო შეთანხმებას, რომელიც თავდაცვითი ხასიათის არის. პუანკარე წინააღმდეგია, რომ გერმანიას შეუმცირონ გადასახადი ნახშირის რაოდენობა.

მინისტრთა საბჭოში.

სამშაბათს მილიერანის თავმჯდომარეობით მოხდა მინისტრთა საბჭოს სხდომა. საბჭოს თავმჯდომარემ ჟორჟ ლეიგმა მინისტრებს ამცნო ლონდონის მოლაპარაკების მსვლელობა. ახალშენთა მინისტრმა სარომ ხელმოსაწერათ წარმოადგინა დეკრეტი ინდო-ჩინეთის გენერალ-გუბერნატორის მორის-ლონგის რწმუნებულების განახლების შესახებ. შემდეგ მოისმინეს ლორან ეინაკის მოხსენება ნავთის შესახებ.

ერთა ლიგაში.

სამშაბათს ერთა ლიგას სხდომაზე ფერარმა მოხსენება გააკეთა ენის საკითხის შესახებ. ესპანური ენა არ შეიძლება მე-3-ე ენათ ჩაითვალოს ფრანგულ და ინგლისურ ენების შემდეგ იაპონიის წარმომადგენელმა ერთა ლიგის ყოველწლიურ კრების შესახებ განაცხადა, რომ იაპონიის დელეგაციას ევროპაში ჩამოსასვლელათ 7 კვირა დასჭირდება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის

პარიზი „ჰუმანიტემ" გამოაქვეყნა ყველა მშრომელთადმი მიმართული მოწოდება, რომელსაც სათაურად აქვს: „მშვიდობიანობა ყველა ხალხისათვის." ამ მოწოდებაში აღნიშნულია, რომ შრომის საერთო ფედერაციამ, სოციალისტურმა პარტიამ და ადამიანის უფლებათა ლიგამ გადასწყვიტეს საერთო ნაბიჯების გადადგმა ხალხთა შორის ზავისა და მშვიდობიანობის დასამყარებლად, და მათ შორის, რუსეთთან მშვიდობიან დამოკიდებულების აღდგენა. ზემოაღნიშნული ორგანიზაციები წინადადებას აძლევენ მთელ განათლებულ ქვეყანას გაჰკიცხონ ყოველგვარი სამხედრო ჩარევა სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში, გაჰკიცხონ რუსეთის ბლოკადა და სხ. შეერთებულმა ორგანიზაციებმა გადასწყვიტეს საფრანგეთის ქალაქებში ხალხთა შორის მშვიდობიანობის დამყარების სასარგებლოდ აგიტაციის გასაშლელათ მიტინგები გამართონ.

სპეკულიაციის წინააღმდეგ.

ტულუზა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სასტიკი ზომები მიიღო სპეკულიანტების წინააღმდეგ. სპეკულიანტების გვარსა და სახელებს სამარცხვინო ბოძებზე აკრავენ. თითოეული სპეკულიანტი დაჯარიმებულია 5,000 ფრანკით.

ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ.

პარიზი. სორბონში ჰიგიენის მინისტრ ბრეტონის თავმჯდომარეობით გაიხსნა ჭლექთან მებრძოლი საერთაშორისო კონფერენციის სხდომები. განზრახულია მოაწყონ საერთაშორისო საინფორმაციო ბიურო, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებს ამცნობს [illegible] ბრძოლის [illegible].

სავაჭრო დამოკიდებულება გერმანიასთან.

ბაზელი. შვეიცარიის პრესის ცნობით ამ მოკლე ხანში მოკავშირეებსა და გერმანიას შორის განახლდება ინტენსიური სავაჭრო დამოკიდებულება. პრესა აღნიშნავს, რომ გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობაზე ცუდ გავლენას ახდენს კარგი ღირსების ნახშირის უქონლობა. ნახშირის სინაკლულემ იძულებული გახადა გერმანია, რომ მას მატარებლების რიცხვი შეემცირებია.

საფრანგეთი და ლიტვა.

ბერლინი. ლიტვის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა ლიტვის მთავრობისადმი გაგზავნილი ჟორ-ლეიგის ნოტა, რომელშიაც ნათქვამია: საფრანგეთის მთავრობა ჰკიცხავს პოლონეთის პოლიტიკას; საფრანგეთი მზათ არის მიიღოს ზომები ლიტვის დამოუკიდებლობის უზრუნველ-საყოფად, რომლის საზღვრებშიაც უნდა შევიდეს ვილნო და მემლი.

რურის ოლქის მდგომარეობის გამორკვევა.

ბერლინი. „ბერლინერ ტაგებლატი" იუწყება: სინდიკალისტების საერთაშორისო კავშირმა გადასწყვიტა გაგზავნოს რურის ოლქის მდგომარეობის გამოსარკვევად მუშათა საერთაშორისო კომისია.

ლოკომოტივები რუსეთისათვის.

სტოკჰოლმი. შვეციის პრესის ცნობით საბჭოთა რუსეთს შვეციის ქარხნებისათვის შეუკვეთია 2000 ლოკომოტივი, რომლებიც რუსეთს უნდა გადაეცეს ამ 6 წლის განმავლობაში. ამას გარდა რუსეთმა გერმანიაში შეუკვეთა სხვადასხვა ფირმას 100 მილ. მარკის საქონელი. შეერთებულ შტატებში საბჭოთა მთავრობამ შეისყიდა 113 ლოკომოტივი, რომლებიც ბოლშევიკურ რევოლიუციამდე რუსეთისათვის იყო დამზადებული.

ბრიტანიის საიმპერიო საერთო პარლამენტი.

ლონდონი „ტაიმსი" იუწყება: სერ გრუმ ზედა პალატაში შეიტანა პროექტი ბრიტანიის საიმპერიო საერთო პარლამენტის დაარსების შესახებ. ამ პარლამენტში წარმოდგენილი იქნება ინგლისის ყველა ახალშენი. პარლამენტმა უნდა განიხილოს ბრიტანეთის საერთო ხასიათის საკითხები, მათ შორის საგარეო პოლიტიკისა და საგარეო ვაჭრობის, საფინანსო სისტემისა, თავდაცვისა და სხვ. შესახებ. ამასთანავე იარსებებს ინგლისის ზედა და ქვედა პალატები და ახალშენთა წარმომადგენლობითი დაწესებულებანი.

საქართველოში არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლობის პრესის ბიუროს ბიულეტენიდან

1 დეკემბერი.

საბჭოთა ძალა-უფლება სომხეთში.

დილიჟანი. 30 ნოემბერი. 22 ს. 15წ. დილიჟანისა და ქარავანსარაის რაიონების გლეხებმა რომელნიც აღელვებული იყვნენ დაშნაკური მთავრობის ბოროტი პოლიტიკით და მხარეში ანარქიის გაძლიერებით,—აღმართეს აჯანყების დროშა. სომხეთის კომუნისტურ პარტიამ მაშინვე თავს იდვა ამ სტიქიურ მოძრაობის ხელმძღვანელობა და გამოაცხადა რა სომხეთში სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, შეადგინა სომხეთის რევკომი. პირველი

ფრიდრიხ ენგელსის დღე

ფრ. ენგელსის ხსოვნას

(აზრები მისი დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო.)

კარლ კაუცკისა.

I

დღეს შესრულდა ასი წელი მას შემდეგ, რაც ჩვენდა სასახელოდ დაიბადა ენგელსი. რა ხშირად გადამიხდია ეს დღესასწაული თვით ენგელსთან ან საერთო მეგობრებთან ერთად, ლონდონში ან ციურიხში, ვენაში ან ბერლინში. მაგრამ განა ან ენგელსი, ან მე თუ გინდ განუსაზღვრელ ოცნებაში წარმოვიდგენდით, რომ მისი დაბადების ასი წლის თავს მე თფილისში, სოციალისტური მთავრობის მფარველობის ქვეშ, შევხვდებოდი!

ჩვენთვის, სუყველასთვის გულითად მოთხოვნილებას შეადგენს ვიდღესასწაულოთ მეასე წლის თავი ჩვენი დიადი მასწავლებლის დაბადებისა, რომლისგანაც ესე ბევრი რამ გვისწავლია; ხოლო ჩემთვის ეს გაორკეცებულ გულითად მოთხოვნილებას შეადგენს, რადგან ჩემთვის ენგელსი შეიქნა პირადი მეგობარი, და ის, რაც მე უძვირფასესად მიმაჩნია ჩემს ცოდნაში, მისგანაა შეძენილი.

მალე ორმოცი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც ენგელსი პირადათ გავიცანი. ჩვენი გაცნობის საბაბი დამახასიათებელია მისი პოლიტიკური აზროვნებისათვის, ასე რომ ამ მოგონებას მხოლოდ პირადი ხასიათი არ აქვს.

ეს იყო სოციალისტების საწინააღმდეგო კანონის მოქმედების დასაწყისში; სოციალისტების საწინააღმდეგო კანონი შემოღებულ იქნა გერმანიაში 1878 წლის ოქტომბერში; მას შემდეგ, რაც ორჯერ დაესხნენ თავს მოსაკლავად კაიზერ ვილჰელმ პირველს.

ამ კანონის მოქმედების პირველმა წლებმა საგრძნობელი არევ დარევა გამოიწვია სოც.-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც მანამდე ერთსულოვნობას იჩენდა. მრავალ ჩვენ ამხანაგს რყევა დაეტყო; ეს რყევა შედეგი იყო არა მარტო პოლიციურ დევნისა, არამედ უმთავრესად იმ ერთსულოვან აღშფოთებისა, რომელმაც თავი იჩინა ხალხის დიდ უმრავლესობაში სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, ვინაიდან ამ უკანასკნელთ აწერდენ კაიზერზე თავდასხმის ჩადენას. მასების რყევა გადაეცა აგრეთვე მრავალ ხელმძღვანელთაგანს. ზოგიერთები ისე შორს წავიდენ, რომ მოითხოვეს პარტიას ნებაყოფლობით გაეუქმებია თავი და პარტიული ამხანაგები მიმხრობოდენ ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ამხანაგების უმეტესობა მ-წადინებული იყო შეენარჩუნებინათ პარტია, მაგრამ ამავე დროს ქადაგებდენ ჩვენი ტაქტიკის გადასინჯვას. მათის ფიქრით, ჩვენ ხელი უნდა აგვეღო კლასთა ბრძოლაზე, ან შეგვენელებია ის რამდენადაც შესაძლებელი იყო და ვცდილიყავით მხარი დაგვეჭირა ბურჟუაზიის ქველმოქმედ ნაწილისათვის. ამხანაგების მხოლოდ მცირე რიცხვმა შეინარჩუნა სიმტკიცე და მათ შორის უპირველესად **ბებელმა.**

მარქსი და ენგელსი აშფოთა ამ ღირსების გრძნობის დაკარგვამ და სილაჩრემ. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ლონდონიდან მათ გერმანიაში შექმნილი მდგომარეობა უფრო მუქი ფერადებით ეხატებოდა, ვინემ სინამდვილეში იყო.

ამიტომაც იყო, რომ ეგინი დიდის უნდობლობით ეკიდებოდენ ყოველკვირეულ გაზეთს „სოციალდემოკრატს", რომელიც 1879 წელს დაარსდა ციურიხში; ეს გაზეთი ფარულად უნდა გავრცელებულიყო გერმანიაში და დევნილსა და დარღვეულ პარტიისათვის ძალა და სიმტკიცე უნდა შეეძინა. გაზეთისთვის საჭირო ფული გამოიღო ერთმა მდიდარმა იდეალისტმა, ჰეხბერგმა, რომელიც იმ აზრს ემხრობოდა, რომ სოციალდემოკრატია უნდა ცდილიყო ზომიერი მოქმედების საშუალებით მოეპოვებია მეგობრები ბურჟუაზიის შორის. ამიტომაც მარქსმა და ენგელსმა არ მოისურვეს გაზეთთან საქმის დაჭერა, ჰეხბერგი კი იმდენად პატიოსანი იყო, რომ ის არავითარ პირობებს არ უყენებდა გაზეთს. ეს არ იცოდენ მარქსმა და ენგელსმა; მათ არც ის იცოდენ, რომ გაზეთს მხარს უჭერდა ბებელი და რომ რედაქცია რადიკალების ხელში იყო.

ორთავე მოხუცის დასაცხრობათ ლონდონს გაემგზავრენ 1880 წლის შემოდგომის მიწურულს ბებელი და ბერნშტეინი. ყოველივე გაუგებრობას ბოლო მოეღო და ლონდონი შეგვირიგდა. მაგრამ საჭირო იყო ლონდონელებსა და ციურიხელებთა შორის გულითადი თანხმობის, და უფრო მჭიდრო კავშირის ჩამოგდება. ამ მიზნის განსახორციელებლად მე დამასახელეს. მაშინ გაზეთ „სოციალდემოკრატის" თანამშრომელი ვიყავი. 1881 წლის გაზაფხულს გავემგზავრე ლონდონს. აქ იწყება ჩემი ნაცნობობა მარქსთან და ენგელსთან.

ჩემდამი მინდობილი მისია ასრულდა უკეთ, ვინემ მოსალოდნელი იყო. ამას ხელი შეუწყო არა ჩემმა დიპლომატიურმა ნიჭმა, რომელიც არასოდეს მნიშვნელოვანი არ ყოფილა, არამედ გაზეთ „სოციალდემოკრატის" საუცხოო პოზიციამ, რომლის ხელმძღვანელი ფოლმარის ადგილას ბერნშტეინი გახდა.

პირადათ ჩემთვის კი მარქსთან და ენგელსთან ყოფნა გახდა ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენად. იმ დროს მარქსის ცოლი უიმედო ავადმყოფი იყო, თვით მარქსიც ავადმყოფობდა; ასე რომ მას იშვიათად ვხვდებოდი. მით უფრო ხშირად ვიყავი ენგელსთან. ის გახდა ჩემი ჭეშმარიტი მასწავლებელი, რომლის ნაწერებმა, განსაკუთრებით დიურინგის საწინააღმდეგო წიგნმა, უფრო ღრმად შემათვისებია მარქსის მეთოდი, ვინემ ეს მხოლოდ მარქსის ნაწარმოებთა საშუალებით იყო შესაძლებელი; ეს მეთოდი სავსებით მხოლოდ ენგელსის წყალობით შევიგენი.

ბევრი რამ მოულოდნელი გამოირკვა ჩემთვის ენგელსთან სწავლის დროს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ენგელსი შეურიგებლათ ეწინააღმდეგებოდა ყოველივე ცდას პროლეტარულ კლასიურ შეგნების შესუსტებისა; ის სასტიკათ ებრძოდა პროლეტარიატში იმ აზრის გავრცელებას, თითქოს მუშათა კლასის განთავისუფლება შეეძლოს სხვა რომელიმე ძალას, გარდა თვით მუშათა კლასისას. მე რადიკალთა ფრთას ვეკუთვნოდი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ენგელსი მოიწონებდა ყოველივე იმას, რაც ჩვენ რადიკალიზმად მიგვაჩნდა. მოლოდინის წინააღმდეგ, ძალიან ხშირად ჩვენი რადიკალიზმი ენგელსის მხრივ სასტიკ კრიტიკას იწვევდა. ენგელსი რევოლიუციონერი იყო მთელი თავისი არსებით, თავისი სულითა და გულით; რევოლიუციის განცდა შეადგენდა მისი ცხოვრების უძვირფასეს წილს. და ამასთან ერთად ის ხშირად მტუქსავდა მე რევოლიუციურ მოუთმენლობისათვის და მეუბნებოდა: „თქვენ უნდა ისწავლოთ ლოდინი, ისე როგორც ჩვენ გავხდით იძულებული გვესწავლა," მან დამანახვა მე—თუ რაში მდგომარეობს სოციალისტურ პოლიტიკოსის დიადი ხელოვნება: პროლეტარიატში ჩვენი დიადი მიზნებისადმი ინტერესის და სიფხიზლის გაღვივება, მასში რევოლიუციური ვნების შენარჩუნება და ამასთან ერთად არსებულ ძალთა განწყობილებას მუდამ ფხიზლათ აწონ-დაწონვა და ყოველ მომენტისათვის მხოლოდ ისეთი მიზნების დასახვა, რომელთა მიღწევა შესაძლებელია. ამ მხრით მას ბებელი მიაჩნდა სოციალისტური პოლიტიკოსის იდეალად და მუდამ მიმითითებდა ბებელს, როგორც მაგალითს. და მართლაც ბებელიდანაც ძლიერ ბევრი რამ ვისწავლე მე.

რევოლიუციურ მოუთმენლობასთან ერთად ენგელსმა მიმითითა მეორე ნაკლს: მე საკმაოდ არ ვაფასებდი პროლეტარულ მასიურ ორგანიზაციებს, თუ იგინი არ უდგებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ნიმუშს; მაგალითად ინგლისის პროფესიონალურ კავშირებს. მან მასწავლა მე პატივისცემა ყოველ მებრძოლ პროლეტარულ მასიურ ორგანიზაციისა. მის თვალში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პროლეტარიატის შეკავშირებას მთლიან მებრძოლ ერთეულად და ის გადაჭრით უკუაგდებდა ყოველივე სოციალისტურ სექტანტობას, რომელიც ამ მთლიანობას არღვევდა,—თუნდაც სექტანტობას მარქსისტული სახელწოდება მიეკუთვნება. სწორედ იმ ხანაში, როცა მე ლონდონში ვიმყოფებოდი, ინგლისის პროფეს. კავშირები უფრო დაშორებული იყვნენ სოციალიზმს, ვინემ სხვა რომელიმე დროს. ამიტომ ინგლისელმა მარქსისტებმა შესძლეს წმინდა მარქსისტული პარტიის შექმნა პროფესიონალურ კავშირების გარეშე, შეიძლება ითქვას—მათ წინააღმდეგ. სხვა ინგლისელ სოციალისტებს პროფესიონალურ კავშირების უარყოფითი პოზიცია მიაჩნდათ მარქსიზმის სიყალბის დამამტკიცებლად: ისინი ფიქრობდენ სოციალიზმის დამკვიდრებას არა პროლეტარულ მასიურ ორგანიზაციების საშუალებით, არამედ ინტელიგენტების მიმხრობით.

ენგელსი ებრძოდა ორთავე მიმართულებას, როგორც მარქსისტ-სექტანტებს „სოციალ-დემოკრატიულ ფედერაციის" სახით, აგრეთვე ანტიმარქსისტი ფაბიელებს. მუდამ და დაუცხრომელად ქადაგებდა ის პროფესიონალურ კავშირების სოციალიზმისადმი მოქცევის საჭიროებას. და ეს მისი ქადაგება გამართლდა კიდეც. ამას დიდი ხანი მოუნდა, გაცილებით უფრო დიდი ხანი, ვინემ ჩვენს მოუთმენლობას შეეფერებოდა; მაგრამ ინგლისში სოციალისტური იდეა მხოლოდ მაშინ გახდა მოქმედ ძალად, როცა ის პროფესიონალურ კავშირებში შეიჭრა. და მით უფრო უძლეველი ხდება ის, რაც უფრო მაგრად იკიდებს ფეხს პროფესიონალურ კავშირებში.

სრულებით არ არის მართალი ის აზრი, თითქოს ენგელსს ჩვენთვის ექადაგებინოს რადიკალიზმი ყოველ მიზეზს გარეშე. ასეთი ქადაგების მოსასმენად ჩვენთვის ლონდონს წასვლა საჭირო არ იყო. რადიკალიზმს ჩვენ გვიკარნახებდა მაშინ სოციალისტების საწინააღმდეგო კანონის ყოველდღიური პრაქტიკა. ამ რადიკალიზმით უფრო და უფრო იმსჭვალებოდა მუშათა მასა მას შემდეგ, რაც გადალახულ იქმნა სოციალისტთა საწინააღმდეგო კანონის პირველი, არევ დარევის გამომწვევი მოქმედება. პროლეტარულ მასიურ ორგანიზაციების მნიშვნელობის შეფასება და მათი საკმაოდ დაფასება—აი რას გვასწავლიდა ჩვენ ენგელსი სოციალისტურ პრაქტიკისათვის: ის გვაგნებინებდა ჩვენ ამ ორგანიზაციებში სოციალისტური შემეცნების შეტანის საჭიროებას: და აგრეთვე და არა ნაკლებ ენგელსი გვაგნებინებდა, რომ საჭიროა თავიდან აცილება როგორც სექტანტურ შეურიგებლობისა, აგრეთვე ყოველივე ექსპერიმენტების, რომლებიც მოუთმენლობით არიან გამოწვეულნი და რომლებიც საფრთხეს უქმნიან ორგანიზაციის არსებობას ან მის ძალას; სულ ერთია რა სახით არ უნდა მიიღოს ამ ექსპერიმენტებმა—გაბედულ „ბუნტარობის" თუ არა ნაკლებ გაბედულ არშიყობის პროლეტარიატის მოწინააღმდეგეებთან. მუშათა კლასმა თვით უნდა გაინთავისუფლოს თავი. და სანამ მას ამისათვის საკმაო ძალა და უნარი არ შესწევს, მხოლოდ ვნებს მოიტანს უმცირესობის ცდა მისი განთავისუფლების დაჩქარებისა ხელოვნური ღონისძიებების საშუალებით: სულერთია რაგვარი იქნება ეს ხელოვნური ღონისძიებები: ძალდატანებითი თუ დიპლომატიური ხასიათის.

აი ეს პოლიტიკა ვისწავლე მე ენგელსისაგან. ეს არის მარქსისტულ „ცენტრის" პოლიტიკა, რომელიც ებრძოდა მას ერთნაირი სიმკაცრით გადამეტებებს როგორც ბაკუნინის, აგრეთვე შვეიცერის, როგორც მოსტის, აგრეთვე ჰეხბერგის, როგორც ბერლინელ „ახალგაზრდათა," აგრეთვე ფოლმარის წინააღმდეგ.

ეს პოლიტიკა მარქსსა და ენგელსს იმ თავითვე შეთვისებული როდი ჰქონდათ. ის იყო ნაყოფი ხანგრძლივი ცხოვრების გამოცდილებისა, — ცხოვრების, რომელიც აღსავსე იყო ბრძოლით, იმედის გაცრუებით, მაგრამ აგრეთვე გამარჯვებებით და რომელიც მუდამ აღსავსე იყო მეცნიერული კვლევა ძიებით და სასტიკი თვითკრიტიკით.

II

თავიანთი პოლიტიკური და სოციალური გამოცდილება მარქსმა და ენგელსმა ერთად მუშაობით შეიძინეს. ამ გამოცდილების ისტორიის დაწერა იქნებოდა იმავე დროს როგორც მარქსის აგრეთვე ენგელსის ისტორიის დაწერა. ამასთანავე ის შეადგენს ისტორიის სოციალიზმისას გასული საუკუნის ორმოციან წლების შემდეგ.

პრაქტიკული და თეორიული შემოქმედების საფუძველს,—როგორც მატერიალურ შეხედულებას ისტორიაზე, აგრეთვე სოციალიზმს. მათ ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად მიაღწიეს სრულიად განსხვავებული მხრიდან და სრულიად განსხვავებული გზით.

მარქსი იყო ებრაელ ადვოკატის შვილი; მამა მისმა მიიღო ქრისტეს სჯული არა იმიტომ, რომ მას ქრისტეს რჯულისაკენ მიდრეკილება ჰქონოდეს,—არამედ იმიტომ, რომ ებრაელს მე-19 საუკუნის დასაწყისში მხოლოდ სჯულის ამგვარი გამოცვლა აძლევდა საშუალებას გადაელახა „გეტტოს" ფარგლები და ფეხი შეედგა ევროპის საზოგადოების დიდ ოჯახში. მარქსის ოჯახი სრულიად თავისუფალი იყო სარწმუნოებრივი გრძნობისაგან და მამაპაპათა რელიგიის მარქსის გონება არასოდეს შეუპყრია.

ენგელსი კი წარმოსდგებოდა პროტესტანტ ფაბრიკანტის ოჯახიდან, რომელიც სცხოვრობდა ინდუსტრიულ

---

*) ეს წერილი წაკითხული იქნა სახელმწიფო თეატრში ფრ. ენგელსის დილაზე.

ლახვარი ჩაცემულია! ქალაქი დელიჯანი ჩვენს ხელშია! აღტაცებული ფეხნყებულები წინ მიიწევენ საზიზღარ ანტანტის დასაყრდნობ ძალის საბოლოოთ გასანადგურებლათ. ვასრულებთ რა მათ ნებას. ჩვენ მივიწევთ წინ სრული იმედით, რომ აღმოსავლეთის დაჩაგრულ ხალხთა განმათავისუფლებელი ჩვენი სოციალისტური რუსეთის წითელი არმია რეალურ დახმარებას გაგვიწევს ჩვენ მძიმე ომის წარმოებაში. სომხეთის მუშებისა და გლეხების სახელით ჩვენ ვთხოვთ სახალხო კომისართა საბჭოს დახმარება აღმოგვიჩინოს.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ „საბჭოთა რესპუბლიკას! გაუმარჯოს ძლევა-მოსილ წითელ არმიას.

სომხეთის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **კასიანი.** რევკომის წევრები: **ბეკზადიანი, დოვლატიანი, ირალიანცი, ტერ-გაბრიელიანი.**

შეიდემანის აზრი ბალშევიკების შესახებ.

რიგა. 12 ნოემბერი. შეიდემანმა რეიხსტაგში წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა, რომელშიაც აკრიტიკებდა გერმანიის ნაციონალისტურ პარტიის პარტეიტაგს. საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ შეიდემანმა შემდეგი განაცხადა: „ჩემის აზრით, საჭიროა განვაახლოთ საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობა. მე არ ვიცი რომელ თეორიას იზიარებენ მთავრობის წარმომადგენლები— მიაჩნიათ იმათ ბალშევიზმი, როგორც შემოქმედების პრინციპი, თუ როგორც ყველაფრის გამანადგურებელი იდეის შიში, რომ ბალშევიკებს შეუძლიანთ ჩვენი ქვეყანის გავსება, სრულიად უსაფუძვლოა უკვე იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს საკმაო რიცხვი საკუთარი ბალშევიკებისა. ამ საქმეში ჩვენ თვითონ შეგვიძლია ჩვენი თავისათვის საჭირო საგნების მიწოდება და საზღვარ გარეთიდან მოტანა არ გვჭირდება“.

„ჩვენ ჩახუხს ვცლით“.

ტრაპიზონდი, 23 ნოემბერი. ამ სათაურით ტრაპიზონდის გაზ. „ეპოქა“ სწერს: „ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიკითხოთ: გადადგმულია თუ არა ჩვენ საზოგადო მოღვაწეების მხრივ რაიმე ნაბიჯი, რათა ბალშევიკურ მთავრობის წარმომადგენლებისაგან გაგვეგო რაიმე ჩვენი თანამშრომელთა ბედის შესახებ? საჭიროთ ხომ არა სთვლიან ჩვენი ხელმძღვანელები რუსეთის უძლიერეს პარტიასთან კავშირის დაჭერას? მეტად მნიშვნელოვანი ნაციონალური ინტერესები გვაკავშირებენ ჩვენ რუსეთთან და ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ მხოლოდ მის ახალ მმართველებთან შეგვიძლია მომავალში შეთანხმება.

ბალშევიკების წინააღმდეგ ბერძნების შარშანდელ სამარცხვინო შეტევისა და იმ საგრძნობ გაკვეთილების შემდეგ, რომლებიც აგემებიეს უკანასკნელებმა თავის შინაურ და გარეშე მტრებს, არამც თუ მისატევებელია არამედ პირდაპირ დანაშაულობაა ანგარიში არ გაუწიოს ახალ რუსეთის ძალებს და არ იქნეს გაკეთებული ცდა ჩვენი მრავალტანჯული ხალხის სასარგებლოთ მათი გამოყენებისა.

პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ყრილობის დარბაზიდან.

ნაუენი. 30 ნოემბერი. (რადიო) ლონდონში, პროფესიონალურ კავშირთა საერთაშორისო ყრილობაზე საფრანგეთის დელეგატმა ჟუომ განაცხადა, რომ ანტანტას არავითარ შემთხვევაში არ აქვს რურის ოლქის ოკუპაციის უფლება და მოუწოდა გერმანიის მუშებს გაფიცვისაკენ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ოკუპაცია მოხდებოდა, ამ შემთხვევაში საერთაშორისო პროფ. კავშირები დაეხმარებიან გერმანიის მუშებს. გერმანიის დელეგატმა ლეგინმა აღნიშნა გერმანელ მუშების რურის ოლქში ცუდი გამოკვება, რაც გამოწვეულია ზავის პირობებით, ბრიტანეთის დელეგატმა ტომასმა გაკიცხა საფრანგეთის იმპერიალიზმი და განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის შეკავშირებულმა მუშებმა უნდა დაეხმარონ გერმანელ მუშებს.

სომხეთი და ოსმალეთი

საზავო მოლაპარაკება

ყარაკლისიდან „აზხატავორს“ ნოემბრის თარიღით შემდეგს აუწყებენ: მოლაპარაკება სომხურ და თურქულ დელეგატებს შორის გუმბრში გრძელდება. სომხეთის საზღვრების შესახებ მოლაპარაკების დროს სომხეთის დელეგაციამ მოითხოვა, რომ ოსმალთა ჯარებმა დასცალონ სომხეთი და ოსმალეთის სომხეთი ნაწილი შეუერთდეს სომხეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ოსმალთა დელეგაციამ ხვალ უნდა გასცეს თავის პასუხი ამ საკითხის შესახებ.

ოსმალებმა არ მიიღეს ბუდუ მდივანი დელეგატათ.

იმავე გაზეთს ატყობინებენ „საბჭოთა რუსეთის საგანგებო წარმომადგენელი ბუდუ მდივანი გუმბრში გაემგზავრა საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ. მისი მონაწილეობის საკითხი დაისვა დელეგატთა საერთო კრებაზე. ოსმალთა დელეგაციამ ფორმალურ მიზეზებით გადაჭრით უარი განაცხადა საზავო პოლაპარაკებებში ბუდუ მდივანის მონაწილეობის მიღებაზე.

სომხეთის ფრონტებზე.

მდგომარეობა ფრონტებზე უცვლელია. შარურის მიმართულებით მომხდარ ომებში მოკლულია არიან ორი სომეხი აფიცერი—მარქარ სარქისიანი და შეჰდალუმიანი (ესერი).

ერევანი ბალშევიკებმა დაიკავეს.

ბალშევიკებმა დაიკავეს ქ. ერევანი. ამის გამო სომხეთის მთავრობამ პროტესტი განუცხადა ლეგრანს. ლეგრანმა უპასუხა, რომ ბალშევიკების მიერ ქ. ერევანის დაკავება „გაუგებრობად“ უნდა ჩაითვალოს. იგი არწმუნება, რომ თვითონ გაგზავნა დეპეშა იმის შესახებ, რომ ბალშევიკურ ჯარებს ქ. ერევანიდან უკანვე დაეხიათ.

ბალშევიკების თვალსაზრისი თურქულ-ქართულ დამოკიდებულების შესახებ.

სომხეთის ბალშევიკების აზრით თურქების და ქართველებს შორის შეტაკება აუცილებელია. („აზხატ.“)

ახალი ამბები

◆ **მატერიალური დახმარების აღმოჩენა მუშებისათვის.** ცენტრალურ კომიტეტში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა მატერიალურ მდგომარეობის გამომრკვევ კომისიის პირველი სხდომა. კომისიას შემდეგი გეგმა აქვს დასახული: უნდა გამოირკვეს მუშების და მოსამსახურეების როგორც ეკონომიური მდგომარეობა, აგრეთვე მათი კვების საკითხი და სხვა. გამოკვლევის საფუძვლად მიღებულია არა ოჯახი, არამედ სამეურნეო ერთეული.

◆ **სასურსათო ცხოვრება.** სასურსათო განყოფილება იუწყება: განყოფილება შეუდგა იაფფასიან პურის გამოცხობას პური გამოვა გასასყიდათ. გირვანქა 75 მან. გაიყიდება. განყოფილება ამ პურს ქალაქის გარეშე უბნებში მყოფ სასურსათო მაღაზიებს მიაწოდებს. შემდეგ ასეთ პურს ცენტრალურ ადგილებში არსებულ სასურსათო მაღაზიებსაც მიაწოდებენ.

— ხოშტარიას ქარხნების ადმინისტრაციამ მიმართა ქალაქის თვითმართველობას შუამდგომლობით, დაუთმოს მას ქალაქში ბინები იაფი საპნის სავაჭროდ ვინაიდან ამ ჟამად საპონი შუამავლების მეოხებით ძვირად იყიდება.

◆ **ფინანსთა სამინისტროში.** გერმანიაში მყოფი საქართველოს კომერციული აგენტი იტყობინება ბერლინიდან, რომ მის მიერ შეძენილია გერმანიაში საქართველოს საჭიროებისათვის დიდძალი სასოფლო სამეურნეო იარაღები, რკინის გზის მასალები ელექტრონის და ტელეფონის არმატურები, წყალსადენთა და ტრამვაის ხელსაწყობები და სხ. შესყიდული საქონელი მოკლე ხანში გამოიგზავნება საქართველოში. ამასთანავე გერმანულ ფირმებს შეუკვეთეს საქართველოსათვის საჭირო საქონლის მეორე პარტია.

◆ **სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში.** მთავარმა შტაბმა სათემო და სარაიონო შტაბებს წინადადება მისცა,— რაც შეიძლება ბრწყინვალედ გადაიხადონ გვარდიის დღე დეკემბრის 12. „გვარდიის“ დღის დღესასწაულის წესრიგი კერძოთ იქნება გამოცხადებული.

◆ **მიწად-მოქმედების სამინისტროში** მიწად-მოქმედების ტყეთა ინსტრუქტორმა მიწად მოქმედების მინისტრს წარუდგინა პროექტი საკონცესიო ხელშეკრულებისა ჩუბის ხევის და ბზიბის აგარაკთა ტყეების სიმდიდრის ექსპლოატაციის შესახებ. განზრახულია დაიდვას კონცესია 40 წლის ვადით იმ პირობით, რომ ტყის ექსპლოატაცია ხდებოდეს თანახმად ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვისა. ტყე უნდა გაიტანონ უცხო ბაზარზე; ამიტომ ენგურის და ბზიბის ნაპირებზე სამი წლის განმავლობაში უნდა მოეწყოს ქარხნები და ფაბრიკები. საკონცესიო ხელშეკრულების პროექტში გათვალისწინებულია ფაბრიკებში დამუშავებულ ხე-ტყის მასალის მეოთხედ ნაწილის მთავრობის განკარგულებაში გადაცემა.

◆ **გაზეთის შეწყვეტა.** რადგანაც ფულს არ გვიგზავნიან ამიტომ დღეს უკანასკნელათ ეგზავნება გაზეთები: სოხუმს, საჯავახოს. ხვალიდან შეუწყდება ხონს და თელავს. კანტორა „განათლება“.

კ რ ე ბ ე ბ ი.

— დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე 6-ე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, 2 დეკემბერს საღ. 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის ჩვეულებრივი სხდომა.

— პარასკევს, 3 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე ეროვნულ (ყოფილ ფრეილინის) ქ., № 11 შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ინჟ. ი. პრონსკი შემდეგ თემაზე: „Результаты изысканій перевальной желѣзной дороги Беслан-Кутаисъ-Копитнари“ შეუძლიანთ დასწრება სხვა ტეხნიკურ საზოგადოების და დაინტერესებულ დაწესებულებათა წევრებსაც.

ფინანსიურ საბჭოში

ფინანსთა მინისტრის საბჭოს სხდომაზე ნოემბრის 29-ს გაირჩა საკითხი საქართველოს ცენტრალურ დამზღვევ საზოგადოების „კავშირის“ წესდების დამტკიცების შესახებ. საკითხის განხილვის შემდეგ დაადგინეს: საზოგადოებას აქვს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა; მისი წესდება გადაეცემა საგანგებო კომისიას, რომელშიაც შევლენ ფინანსთა სამინისტროსა და სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები. კომისიას ევალება სასწრაფოდ დაამუშაოს აღნიშნულ საზოგადოების წესდება. ამასთანავე ამ კომისიამ უნდა გამოსთქვას აზრი, შესახებ საკითხისა, თუ როგორ ფორმაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფოს საზოგადოების ოპერაციებში და აგრეთვე მასზე კანტროლის განხორციელებაში. შემდეგ საბჭომ განიხილა საკითხი „ფრანგულ-ქართულ სავაჭრო კომპანიის“ საზოგადოების წესდების დამტკიცების შესახებ. საბჭომ დაადგინა—მიეცეს ნებართვა საზოგადოებას და ეთხოვოს ფინანსთა მინისტრს საზოგადოების წესდების დამტკიცება. ამერიკა-ამიერკავკასიის სავაჭრო კორპორაცია „ამერიკი“-ს სააქციონერო საზოგადოების წესდების განხილვის საკითხი გადაიდვა შემდეგ სხდომისათვის; საზოგადოების დაარსების ინიციატორებს სათანადო მასალების წარმოდგენა ევალებათ. დასასრულ განიხილეს თფილისის და ნატანების საბაჟოების საკონფისკაციო საქმეები. საბჭო დაეთანხმა იურიდიულ კომისიის დასკვნას. (სდს).

გზათა დეპარტამენტში

მიმოსვლის განყოფილებამ გზათა დეპარტამენტში შეიტანა მოხსენება მალაკნის ქუჩის გაფართოვების საკითხის შესახებ. ამის საჭიროება დასაბუთებულია მით, რომ თფილისის სადგურის სამგზავრო შენობის გაფართოვების გამო, მოედანის სადგურის წინ საგრძნობლად შემცირდა, რაც ხელს უშლის სადგურის წინ როგორც მგზავრთა ისე ეტლების მიმოსვლას, განსაკუთრებით კი მალაკნის ქუჩის მხრით. ამიტომ საჭიროა მალაკანთა ქუჩის გაფართოება. თფილისის ქალაქის თვითმართველობა პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგება ამ პროექტს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ქალაქს არ აქვს ამ ჟამად სათანადო თანხა ამ საქმისათვის. მიმოსვლის განყოფილება სთხოვს გზათა დეპარტამენტს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე სათანადო თანხის გაღების შესახებ.

— რკინის გზების სამმართველოს კომერციულმა ნაწილმა გზათა დეპარტამენტის საბჭოს წარუდგინა მოხსენება „ძმები ნობელების“ ამხანაგობასთან ხელშეკრულების აღდგენის საკითხის შესახებ. ხელშეკრულება შეეხება ბათომის სადგურთან არსებულ დასატვირთავ ქუჩაბანდების ექსპლოატაციას. ხელშეკრულება ბათომში ოსმალთა ბანდების შესვლის გამო გაუქმდა 1918 წ. ნოემბრის 1. ამ ჟამად ამხანაგობა ითხოვს ხელშეკრულების აღდგენას ახალი ვადით. სამმართველო იძლევა წინადადებას აღადგინონ ხელშეკრულება სამი წლის ვადით. (სდს).

ვინ არის ბარონი?

(კომუნისტების საყურადღებოთ)

ამ ბოლო დროს „კომუნისტის“ რედაქციამ ნიშანში ამოიღო რკინის გზების ორგანიზაციები და ზოგიერთი პასუხისმგებელი პირების ლანძღვა გინებით მომავალ რკინისგზელთა ყრილობაზედ გამარჯვებას აპირებენ.

პირები, დემაგოგია, პროვოკაცია. აი ის საშუალებები, რომლებითაც კომუნისტებს სურთ ფონს გასვლა.

ამ მხრივ ყველაზედ უფრო აღსანიშნავია „ახალ კომუნისტის“ 103 №-ში მოთავსებული ბარონის წერილი. ასეთი დაწერილება არ ვფიქრობთ ვინმემ იკადროს თუ არა „კომუნისტის“ რედაქციამ და მისმა თანამშრომელმა ბარონმა.

მაგრამ თუ რამდენათ დაინტერესებულია კომუნისტი ბარონი პარტიული კაპიტალის შეძენაში და რკინისგზელების ორგანიზაციების დანგრევაში, ამის დასამტკიცებლათ უნდა აღინიშნოს, რომ „2 წლის განმავლობაში სასურსათო კომიტეტის უნებლიე მოწამე ბარონი, აქვეყნებს რა ცენტრალური გამგეობის წევრების მიერ წაღებულ საქონლის სიას და ვალებს, არაფერს ამბობს კომიტეტში მომუშავე სხვა კომუნისტებზე, განსაკუთრებით გვერდს უვლის ის კომიტეტის ყოფილ ბუხჰალტერ ბარონ ბიბინეიშვილს, რომელიც დათხოვნილი იქნა სამსახურიდგან. კითხვა იბადება, თუ რომ ცენტრალური გამგეობის წევრებისათვის მიუტევებელი დანაშაული იყო ვალების აღება და ეს უნდა გამოცხადებულიყო მუშების საყურადღებოდ, რატომ სდუმს ბარონი ბუხჰალტერ ბიბინეიშვილის ვალებზედ?

რადგანაც ჩვენ ვერ აგვიხსნია ბარონის ასეთი ცალმხრიობა, იძულებული ვართ ბარონ ბიბინეიშვილის მიერ კომიტეტიდგან გატანილ საქონლის ნაწილი ციფრებითვე ჩამოვთვალოთ:

სიმინდის ფქვილი—4 ფუთი×64=256 მ.
საცვლები—6 წყვილი×120=720 მ.
ჯარის კაცის ფეხსაცმელი (ალბათ გასასყიდათ)=100 მ.
ქართოფილი 3 ფუთი×70=210 მ.
შეშა 1¼ საჟ ×1200=1500 მ.
12 ცალი ხელის საპონი×35 მ =420 მ.
ცხვარი—375 მან.
ღორი და გოჭები—600 მ.ნ.
ბატი—120 მან.
ფულათ—23500 მან.
სჩიოტჩიკი—1500 მან.
ინგლისური შევიოტი 13 არშინი×656 =8528 მან.
მამაკაცის საკოსტიუმე მატერია 4½ არ. და ქალის საკოსტიუმე—„—5½ არ. წაღებული აქვს ა. წლ. 24 ნოემბერს, ხოლო გ. ბარონის „სტატისტიკა“ გამოქვეყნდა 25 ნოემბერს.
ხავერდი 10 არ.×60 მ.=600 მან.
ბატისტა 6 არ.×64 მ.=384 მან.

გარდა აღნიშნული საქონლებისა გ. ბარონ ბიბინეიშვილს წაღებული აქვს აუარებელი საოჯახო ნივთები: ტახტი, სკივრი, სპილენძის ვედროები, ბოჭკა, პალატკები და სხვა. საგარძელი. რომელზედაც, თვითონ იჯდა კომიტეტში მუშაობის დროს, სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ **ძალათ წაიღო** თავის კბილის ექიმი დისთვის. საერთოდ კი რამოდენიმე თვეების განმავლობაში გატანილი აქვს 86.200 მანეთათ ღირებული საქონელი, საიდანაც 30.000 მანეთი დაუჭირეს იმ სალიკვიდაციო ფულიდან, რომელიც მიიღო სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ.

(თუ რომ ჩამოთვლილი ციფრების სინამდვილეში ეჭვი ეპარება ბარონს ან „კომუნისტის“ რედაქციაში მოკალათებულ პირებს, გააგზავნონ ვინმე (თუ სურთ თვით ბარონი) სასურსათო კომიტეტის ბუხჰალტერიაში, სადაც ამ ცნობებთან ერთად შეუძლიათ ნახონ სხვა კომუნისტების (თუ გინდ ესლა, რომ ციხეში ბრძანდება) „ციფრები“, რომლებსაც ჩვენ ამ მოკლე დროში თუ საჭიროთ დავინახეთ გამოვაქვეყნებთ).

ყველა ნათქვამიდან [illegible]ლათ მიხვდება, თუ ვინ არის „კომუნისტის“ კორესპონდენტი ბარონი და სასურსათო კომიტეტის მიერ **სამსახურიდან დათხოვნილი ბარონ ბიბინეიშვილი.**

მცოდნე.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილებაში 3 დეკემბრის საჯარო სხდომაზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საკითხები:

1) საქმე მაქსიმე და თეოდორა (იგივე მარუსია) ხოჯაევების გარდაცვალებულის ალპეს ლვინჯილიას ოპლის-ნადეჟდას მოურვე—მარიამ ლვინჯილიასთან და ნინო ფულარიასთან მამულის თაობაზე.

2) საქმე ივანე ნესძეშნისა ივანე და დიმიტრი გელიაშვილებთან, ალექსანდრე და პეტრე იორდანიშვილებთან, შიო და მიხეილ ოთარაშვილებთან, ნიკოლოზ კოპელაშვილთან და იოსებ გარხარიშვილთან 152 მ. თაობაზე.

3) საქმე ალექსი სეჯაიასა და იოსებ ქვარიას ფულების შესახებ.

4) საქმე გიორგი და მელანია აივაზოვების სტეფანე, ეკატერინე ყაზაროვებთან და იოსებ არუთინოვთან მედიატორულ განჩინების და სიგელის გაბათილების შესახებ.

5) საქმე დიმიტრი არზიანის, აკაკი, სამსონი და გიორგი ჯაიანებთან 990 მ. შესახებ.

6) საქმე მარიამ (მაიკო) ზაუტაშვილის გიორგი, ზაქარია და სხ. ზაუტაშვილებთან მამულის თაობაზე.

რესპუბლიკის ფარმაცევტთა ზომაგალ მეორე ყრილობის გამო

„ერთობის“ №265-ში მოთავსებული იყო ფარმაცევტთა ყრილობის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს მოწოდება, რომელიც მოუწოდებს საქართველოს აფთიაქებში მომუშავე ფარმაცევტებს ემზადონ ყრილობისათვის, რომელიც უახლოეს ხანში მოწვეულ უნდა იქნესო.

ყრილობის მოწვევა დაუდგენია ფარმაცევტთა კავშირის გამგეობას და ეს უახლოესი ხანი ყრილობის გახსნისა უნდა იქნეს, როგორც დანამდვილებით გავიგე, მიმდინარე წლის 10 დეკემბერი. ბიუროს უკვე შეუმუშავებია დღიური წესრიგი, რომელშიაც დასმულია ეგრედ წოდებულ მიმდინარე საკითხების გარდა, თერთმეტი საკითხი.

რომ ყრილობის მოწვევა აუცილებლად საჭიროა,—ამაზე ორი აზრი შეუძლებელია ჰქონდეს არამც თუ მოსამსახურე ფარმაცევტებს, არამედ მეორე ბანაკის ფარმაცევტებს — აფთიაქების პატრონებს, ხოლო საქმე იმაშია, რომ დღიურ წესრიგში დასმულია ისეთი საკითხები, რომლის სათანადო გაშუქებას და კარდინალურად გადაჭრას უფრო მეტი დრო და მომზადება დაჭირდება, ვიდრე აღნიშნული ვადაა. ამისათვის საჭიროდ ვრაცხ ჩემი აზრი გამოვთქვა ვადის გაგრძელების შესახებ და დავასაბუთო ის.

ჩვენის აზრით ყრილობის მოწვევის ვადა გაგრძელებული უნდა იქნეს და გადატანილი მომავალი წლის გაზაფხულისთვის. მოსაზრებანი ვადის გაგრძელების შესახებ შემდეგია:

დღიურ წესრიგში დასმულია სხვათა შორის ისეთი საკითხები, როგორიც არიან: 1) ფარმაცევტთა სწავლა-განათ-

---

მხარეში—ბარმენში; ბარმენის მთელი მოსახლეობა, როგორც ბურჟუა, აგრეთვე მუშები, ღვთის მოსავი ხალხი იყო, რომელიც იტაცებდა ეკლესიის მცნების და ეკლესიის ადათის კითხვები. თვით ენგელსის ოჯახი იყო უღვთისმოსავეს ღვთისმოსავთა შორის, ახალგაზდა ფრიდრიხმა სასტიკი სარწმუნოებრივი აღზრდა მიიღო, და თუ არ დავივიწყებთ მის ნიადაგ ვნებით მღელვარე ბუნებას, ადვილად გასაგები იქნება რომ მისთვის სარწმუნოება გახდა გულითად და ღვიძლ საქმედ. მაგრამ სწორედ იმ ხანაში, როცა ენგელსი იზრდებოდა, გერმანიაში მძლავრად იჩინა თავი ოპოზიციამ არსებულ რეჟიმის წინააღმდეგ. როგორც მე 18-ე საუკუნის საფრანგეთში, ამ ოპოზიციამ დასაწყისში ძველთაგან გადმოცემულ ქრისტიანულ მცნების კრიტიკის სახე მიიღო. იმ დროის გმირებად გახდენ დავით შტრაუსი და ფეიერბახი, რომელთაც გააფთრებით ებრძოდნენ ყველა ხნიები და ფარისეველნი. ამ ბრძოლას, რა თქმა უნდა, არ გაექცეოდა მუდამ ბრძოლის ხალისით, ჭეშმარიტების და ცოდნის წყურვილით შეპყრობილი ენგელსი. ამ ბრძოლამ გამოიწვია მასში ხანგრძლივი და მწვავე წინააღმდეგობა ძველთაგან გადმოცემულ სარწმუნოებისა და ახალ მეცნიერებას შორის. გამარჯვება ბოლოს ამ უკანასკნელს ხვდა. მაგრამ ეს გამარჯვება იმის მომასწავებელი იყო, რომ ამიერიდან მასს და მის ოჯახს შორის ჩამოვარდა აშკარა წინააღმდეგობა როგორც სარწმუნოებრივს, აგრეთვე პოლიტიკურსა და სოციალურ შეხედულებებში.

არც მარქსს მიუღწევია ერთბაშად თავის მატერიალისტურ შეხედულებისთვის. მისი პირვანდელი შეხედულება იყო იდეალისტური და მხოლოდ შემდგომ შეითვისა მარქსმა მატერიალისტური თვალთახედვა. მაგრამ მარქსისათვის ამ ცვლილებას ჰქონდა წმინდა და მხოლოდ აზროვნების პროცესის ხასიათი და ის არ მოასწავებდა წარსულის ძვირფასი და მტკივნეული ძაფების დაწყვეტას.

მარქსისა და ენგელსის გზა სხვა და სხვა იყო აგრეთვე ფილოსოფიის სფეროშიაც. მარქსმა განვლო უნივერსიტეტის კურსი და იქ შეიმუშავა მან თავისი პირველი ფილოსოფიური ძირითადი დებულებები.

ენგელსს კი, პირიქით, არ ჰქონია შემთხვევა სისტემატიური აკადემიური მეცადინეობისა. რეალური გიმნაზიის დასრულებისას ენგელსი მამამისმა თავის მეგობარ კომერსანტს მიაბარა; ამ გზით მას კომერციული ცოდნა უნდა შეეძინა, რომ მომავალში მამამისის საქმის განგრძობა შესძლებოდა. თავისუფალ საათების განმავლობაში ხანგრძლივი შრომით, უხელმძღვანელოდ, თვითგანათლების გზით შეიმუშავა ენგელსმა თავისი მსოფლმხედველობა.

ასე განსხვავებული იყო მათი განათლების მსვლელობის გზა და აგრეთვე მათი მიდრეკილებანი; და ამ სხვადასხვაობით აიხსნება, რომ მარქსს უფრო განვითარებული ჰქონდა ფილოსოფიური და კრიტიკული ძარღვი, ვინემ ენგელსს. სამაგიეროთ ამ უკანასკნელის ცოდნა უფრო მრავალფეროვანი და ფართე იყო, ვინემ პირველის. ფილოსოფიასა, ისტორიის და პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად ის გაცნობილი იყო ენათა მეცნიერებას, სამხედრო საქმეს და ბუნების მეტყველებას; თვითეულ ჩამოთვლის დარგში ენგელსი შესამჩნევად დაწინაურებული იყო.

მიუხედავათ იმისა, რომ მათი გონებრივი განვითარება სრულიად განსხვავებული მიმართულებით სწარმოებდა და მათი განათლების მსვლელობაც სხვადასხვა იყო, მარქსმა და ენგელსმა ერთსა და იმავე შედეგს მიაღწიეს; ეს საერთო შედეგი იყო მატერიალური შეხედულება ისტორიაზე, ე. ი. ის საიმედო საფუძველი, რომელზედაც მათ უნდა აეგოთ დიდებული შენობა მეცნიერული სოციალიზმისა. როცა 1845 წელს მარქსი და ენგელსი პარიზში ერთმანეთს შეხვდნენ და შემთხვევა მიეცათ გაეზიარებიათ ერთმანეთისათვის თავიანთი აზრები, იგინი მალე დარწმუნდნენ, რომ თვითეულ მათგანს მეორესაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე შემეცნებისათვის მიეღწია: ეს საერთო შემეცნება მდგომარეობდა შემდეგში: ისტორიული განვითარება ბოლოს და ბოლოს განისაზღვრება ეკონომიურ განვითარებით, ახალი იდეები, რომლებიც გავლენას ახდენენ საზოგადოებაზე, აღმოცენებული არიან ახალ ეკონომიურ ურთიერთობაზე და ამ იდეების წარმატებაც ეკონომიურ ურთიერთობაზეა დამოკიდებული.

სრულიად განსაკუთრებული შემთხვევაა, რომ ასეთი ახალი და ღრმად ნაყოფიერი შეხედულება ერთსა და იმავე დროს მოუვიდა თავში ორს ადამიანს, რომელთაგან თვითეული სრულიად განსხვავებული მხრიდან და სრულიად დამოუკიდებელი გზით აწარმოებდა ჭეშმარიტების ძიებას.

აგრეთვე ერთსა და იმავე დროს და სრულიად სხვადასხვა გზით მიაღწიეს ორთავემ სოციალიზმს.

მარქსმა შეისწავლა უნივერსიტეტში იურისპრუდენცია და განსაკუთრებით ფილოსოფია. მხოლოდ შემდგომ, როცა ის რადიკალურ ბურჟუაზიულ გაზეთს ჩაუდგა სათავეში, იძულებული გახდა გამოერკვია თავისი შეხედულება ეკონომიურ კითხვებზე და სოციალიზმზე. ამ საჭიროებამ აიძულა ის სისტემატიურად შეესწავლა ეკონომია და სოციალიზმი. მალე ის იძულებული გახდა თავი დაენებებია გაზეთისთვის და ამნაირად შესძლო მიეცა მეტი დრო მოენდომებია მეცადინეობისთვის. ის გადასახლდა პარიზში. ეს ქალაქი იყო წყარო სხვადასხვაგვარი სოციალისტური მცნებისა: სენ სიმონის, ფურიეს, კაბეს, ლუი ბლანის, პრუდონის სკოლებისა; და ამათთან ერთად ბლანკიზმისა, რომელშიაც ისახებოდნენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის იაკობინური ტრადიციები. მარქსის მთელი ყურადღება ახლა ამ სოციალისტური მიმდინარეობისაკენ იყო მიმართული. ამავე დროს ის შეუდგა აგრეთვე ბურჟუაზიულ ეკონომიის შესწავლას.

ენგელსიც თვალ-ყურს ადევნებდა საფრანგეთის სოციალიზმს. მაგრამ პირველ ხანებში ის უფრო დაახლოვებით ინგლისის სოციალისტურ მოძრაობას გაეცნო. მამა მისს ფაბრიკა ჰქონდა არა მარტო გერმანიაში, არამედ ინგლისშიაც, ქალაქ მანჩესტერში. როგორც ზევით დავინახეთ, მისი განათლების მსვლელობის წყალობით, ენგელსი მარქსზე ადრე მისწვდა ეკონომიურ საკითხებსა და ცოდნას; ეხლა კი მას, მარქსთან შედარებით, უპირატესობა მიეცა შეესწავლა ეკონომია კაპიტალიზმის სანიმუშო ქვეყანაში და შეესწავლა იგი არა მარტო თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც. ამასთან ერთად ის პირადათ დაუკავშირდა პირველ თანამედროვე პროლეტარულ მასიურ მოძრაობას, ჩარტიზმს, რომელმაც გასული საუკუნის ორმოციან წლებში თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია; სწორედ ამავე დროს დაიწყო პროფესიონალურ კავშირების გავლენის ზრდა ინგლისში. თან ამ მასიურ მოძრაობაზე დამოუკიდებლათ, ინგლისელი სოციალისტები ახდენდნენ ცდას სილატაკის მოსასპობათ და აი, ამ დროს შეიგნო 25 წლის ახალგაზრდამ, ენგელსმა, რომ მხოლოდ მუშათა მოძრაობის და სოციალიზმის იდეის ერთიმანეთთან დაკავშირება მოუპოვებს გამარჯვებას როგორც პირველს, აგრეთვე მეორეს და უზრუნველყოფს პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს.

მუშათა მასიური ორგანიზაციები უნდა გაიმსჭვალონ სოციალისტური შეგნებით; მაგრამ სოციალისტური იდეები იმ სახით კი არ უნდა შევიტანოთ ამ ორგანიზაციებში, რომ მათ შორის განხეთქილება და სექტიური გათიშვა გამოვიწვიოთ, არამედ ამ გათვითცნობიერებით ხელი შეუწყოთ პროლეტარიატის მასების უფრო მჭიდრო შეკავშირებას და გაერთიანებას; აი ეს გახდა ენგელსის თვალში იმ სოციალისტების მოვალეობად, რომლებიც პროლეტარულ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე იდგნენ.

ეს შეხედულება გაუზიარა ენგელსმა პარიზში მარქსს, რომელმაც იმავე დროს კვლევის გზით აღმოაჩინა, რომ პროლეტარიატი წარმოადგენს საზოგადოების გარდაქმნის მამოძრავებელ ძალას. ამ სოციალური შემეცნების და აგრეთვე ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების გაღრმავებას შეუდგნენ ამიერიდან ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობით მარქსი და ენგელსი; ამ მცნებების მუშათა წრეებში გავრცელებას შეეცადნენ იგინი სიტყვიერად და წერილობით. პირველათ „კომუნისტურ მანიფესტში“ (1847 წელს) დაასაბუთეს მარქსმა და ენგელსმა მათი საერთო მუშაობის ნაყოფის ძირითადი დებულებები.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ენგელსი მარქსის უბრალო თანამშრომელი კი არ იყო, არამედ ხშირად ისეთივე შემოქმედი, როგორც ის.

პირად ურთიერთობაშიაც დიდი ღვაწლი მიუძღოდა ენგელსს მარქსის წინაშე და ამ, პირველ შეხედვით, მხოლოდ კერძო ხასიათის დახმარებას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა მიეცა.

მისი მამის სიკვდილის შემდეგ მარქსი უსახსროდ დარჩა. მის ცოლს მოჰყვა მცირეოდენი შეძლება. 1848 წლის რევოლიუციის ქარტეხილის დროს მარქსი სცემდა „რეინის ახალ გაზეთს“, გამარჯვებულმა კონტრ-რევოლიუციამ გამოიწვია ამ გაზეთის ვაკოტრება და მარქსმა მთელი თავისი შეძლება მისი ვალების დაფარვას მოახმარა. ამიერიდან, დევნილი მარქსი უკიდურეს სილატაკეში სცხოვრობდა ლონდონში. ხშირად ეს სილატაკე პირდაპირ აუტანელი იყო.

ენგელსი კი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი მამა მდიდარი კაცი იყო. მართალია ენგელსის მამა ძლიერ ნაწყენი და უკმაყოფილო იყო, როცა რევოლიუციის წინ მისი სურვილის წინააღმდეგ შვილმა კომერციას თავი გაანება და აშკარად მოჰკიდა ხელი რევოლიუციის საქმის დაცვას პოლიტიკასა და მეცნიერებაში; მაგრამ 1849 წელს რევოლიუციის დამარცხების შემდეგ აშკარა გახდა, რომ გერმანიაში მრავალი წლის განმავლობაში ყოველივე პოლიტიკური მოძრაობა შეუძლებელი იქნებოდა; ენგელსისათვისაც შეუძლებელი გახდა რევოლიუციური მოღვაწეობა და ამ გარემოებამ ხელი შეუწყო შვილისა და მამის მორიგებას. მოხუცსა და ახალგაზრდა ენგელსს შორის შესაძლებელი გახდა ერთნაირი modus vivendi-ს შემუშავება.

ასეთ პირობებში ფრიდრიხს იმედი ჰქონდა, რომ ახლო მომავალში თავის ნივთიერ მდგომარეობას უზრუნველყოფდა და მაშინ შესძლებდა მთელი თავისი დრო მეცნიერულ შემოქმედებისათვის მოეხმარებია, რასაც მამა მისიც ადვილად შეურიგდებოდა. სულ სხვაგვარი იყო მარქსის მდგომარეობა. მან სცადა გაზეთებში კორესპონდენციების მოთავსება, მაგრამ ამ კორესპონდენციების საფასური იმისათვისაც კი არ ყოფნიდა, რომ გაჭირვებით თავი გაეტანა. ან თავისი ოჯახი ულმობლად უნდა დაეტოვებია, ან უნდა აერჩია იგივე გზა, რომელიც აირჩია მისმა მეგობარმა, რევოლიუციის მგოსანმა ფრეილიგრატმა; უკანასკნელი იძულებული გახდა ლონდონის ერთერთ ბანკში შესულიყო სამსახურში. ამ შემთხვევაში მარქსი ველარ შესძლებდა ინტენსიურათ მუშაობას მეცნიერებისათვის, ვერ შესძლებდა განზრახული დიდი ნაწარმოების, „კაპიტალის“, დაწერას.

ეს არ უნდა მომხდარიყო. ენგელსს გადაწყვეტილი ჰქონდა არაფრის გულისათვის არ შერიგებოდა პრომეთეოსი—მარქსის მიჯაჭვას. ის მას მუდამ თავის თავზე მაღლა არ აყენებდა! მან გადასწყვიტა უზრუნველეყო თავის დიად მეგობრისათვის სრული თავისუფლება და ამისათვის ენგელსმა მსხვერპლად გაიღო საკუთარი უძვირფასესი განძი, ის, რაც უძვირფასესია ყოველ მოაზროვნისა და მკვლევარისათვის—მან მსხვერპლად გაიღო საკუთარი თავისუფლება. მან შეწყვიტა საკუთარი მეცნიერული მოღვაწეობა და ამ მსხვერპლის წყალობით მის მეგობარს შეძლება მიეცა სავსებით გამოეყენებია თავისი ნიჭი. ამ მიზნით ენგელსმა იკისრა მისთვის ეგზომ საძულველი ფულის კომერციულ კანტორაში მუშაობისა.

1851 წელს, მას შემდეგ რაც აშკარა გახდა, რომ ახლო მომავალში რევოლიუცია მოსალოდნელი არ იყო, ენგელსი შეურიგდა მამას და მონაწილეობა მიიღო მის სამრეწველო საქმეში მანჩესტერში. ამნაირად მას გაუჩნდა განსაზღვრული შემოსავალი, რომელიც შეძლებას აძლევდა მას თავიც შეენახა და მარქსისა და მისი ოჯახისათვის დახმარება გაეწია. 20 წლის განმავლობაში—1851—1870 წლამდე—ენგელსი მანჩესტერის ფაბრიკის კანტორაზე იყო მიჯაჭვული და შეძლება არ ჰქონდა ფართოთ ეწარმოებია მეცნიერული მუშაობა. ეს იყო ის ხანა, რომლის განმავლობაში მარქსმა თავისი „კაპიტალი“ შექმნა. ენგელსს რომ ამგვარი მსხვერპლი არ გაეღო, „კაპიტალი“ არ დაიწერებოდა და მარქსი ვერ შესძლებდა „ინტერნაციონალის“ ხელმძღვანელობას. მაშინ, პირიქით, მისი ცხოვრების საუკეთესო ხანაში—30—50 წლამდე ენგელსს ექნებოდა საკმარისი დრო მეცნიერული და პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და ეს მოღვაწეობა, უეჭველად, დიად ნაყოფს გამოიღებდა. მაშინ მეცნიერული სოციალიზმის დიდ მოძღვრად ჩვენ მივიჩნევდით არა მარქსს, არამედ ენგელსს მარქსი კი ჩაითვლებოდა მხოლოდ მის თანამშრომელათ.

ეს უდიდესი თვით განსაზღვრა იკისრა ენგელსმა, რადგანაც მას სწამდა, რომ ორთაშორის მარქსი უნიჭიერესი იყო და საერთო საქმისათვის მეტის გაკეთება შესძლებდა.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ ენგელ-

ლების საქმე, 2) აფთიაქების მუნიციპალიზაცია თუ სოციალიზაცია, 3) ფარმაცევტთა უფლებრივი მდგომარეობა რესპუბლიკაში და დემოკრატიულება საფარმაციო უწყებასთან, 4) ქიმიურ მრეწველობის საკითხი და სხვა. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ამ ოთხ საკითხთა სათანადო გაშუქებას და საბოლოოდ გადაჭრას შესაფერი მომზადება და საქმიო მასალების დაგროვება სჭირია; ამისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ჩვენი ფარმაცევტების ყველა ინტელექტუალური ძალები. ჩემი აზრით ჩვენ უნდა ამოვწუროთ ამ საკითხების სათანადო გადასაჭრელად არამც თუ ჩვენი საკუთარი ძალები, არამედ დავიხმაროთ ზოგიერთ საკითხებში ცოდნე პირები სხვა დარგებიდანაც, რათა არ გამოგვივიდეს ისეთი „უმწიფარი" დადგენილებანი, როგორიც პირველმა ყრილობამ გამოიტანა ამ ორი წლის წინეთ,— მაგ. ნაციონალიზაცია აფთიაქების, რაც ცხოვრებაში არ გატარებულა.

ფარმაცევტთა სწავლა-განათლების საქმეს და უფლებრივი მდგომარეობისთვის ბრძოლისთვის ისტორია აქვს ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს მთელი რუსეთის ფარგლებში; საჭიროა ამ ისტორიის გაცნობა და მისი გაკვეთილების გამოყენება ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში, საქმე ის კი არაა, რომ რომელიმე „მაგარი" ან რადიკალური დადგენილება გამოვიტანოთ, არამედ აწონ-დაწონილი იქნას მისი რეალური განხორციელების შესაძლებლობა დღევანდელ მომენტში.

მომავალი ყრილობის ნამუშევარს არ უნდა აკლდეს ნაჩქარევი, ნაუცბათევი დ ლი.

რომ ჩვენი სწავლა-განათლების საქმე, როგორც საზოგადო, ისე სპეციალური, მაღალ დონეზე იქნეს აყვანილი, დაგვჭირდება მცოდნე პირების—პროფესორების მოწვევა, როგორც ჩვენი სპეციალური დარგიდან, ისე ჩვენი სპეციალობის მონათესავე დარგიდან—სიქიმიო დარგიდანაც. ამ მხრით დიდ დახმარებას გაგვიწევს, ჩემის აზრით, ჩვენი უნივერსიტეტი. ჩვენი წოდება ორად არის გაყოფილი: მოსამსახურე ფარმაცევტები და მესაკუთრენი—მეაფთიაქენი. ეკონომიურ საკითხებში, რასაკვირველია, ჩვენ ერთად ვერ ვიქნებით, ხოლო რაც შეეხება სწავლა განათლების უფლებრივ-მდგომარეობის შესაფერ ნორმებში ჩამოყალიბების საკითხებს რესპუბლიკაში და ზოგ სხვა საკითხებშიაც,—ყველა ფარმაცევტი, განურჩევლად სოციალურ მდგომარეობისა, ერთად ვიქნებით.

ერთი საკითხია დღიურ წესრიგში, რომელიც ჩვენი ამხანაგების აზრით, დააფრთხობს ფარმაცევტებს-მესაკუთრეთ, ეს არის: მუნიციპალიზაცია თუ სოციალიზაცია აფთიაქებისა. ჯერ ერთი ის, რომ ეგრედ წოდებულ მესაკუთრე ფარმაცევტების მდგომარეობა დღეს არც ისე ბრწყინვალეა, ამ „საკუთრებას" მაინცა და მაინც ჩაებღაუჭონ. ამის საწინააღმდეგო პსიხოლოგიური გარდატეხა მე მგონია, უკვე მოხდა მესაკუთრე ფარმაცევტთა უმრავლესობის თავში ამ ორი წლის განმავლობაში. მეორე—ვთქვათ, მე ოპტიმისტი გამოვდექი ამ საკითხში—მერე რა! უმრავლესობა ხომ მაინც ჩვენ, მოსამსახურე ფარმაცევტები, ვიქნებით და საბოლოოდ ხომ თითები გადასწყვეტენ საკითხს, თუ კი საზოგადოების და ჩვენი ინტერესი მოითხოვს ამ საკითხის მესაკუთრეთა წინააღმდეგ გადაწყვეტას. ხოლო მმართველი წრეებისთვის და საზოგადოებისთვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება ამ საკითხს ყოველმხრივ გაშუქებას. ამისათვის საჭიროდ მიმაჩნია მომავალ ყრილობაზე რესპუბლიკის ყველა ფარმაცევტები იყოს მოწვეული, განურჩევლად მდგომარეობისა და ხარისხისა, რათა ერთი მთლიანი ხასიათის ნამუშევარი გამოგვივიდეს ყველა ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებით და აგრეთვე იმ მოსაზრებითაც, რომ ჩვენი ბევრი ამხანაგები გაწვეულნი არიან მობილიზაციით და მაშასადამე, ბევრი ვერ დაესწრება ყრილობას 10 დეკემბერს, დღიურ წესრიგში დასმულ საკითხების ყოველ მხრივ შესაფერისად დასამუშავებლად და სათანადოთ გადასაჭრელად. მიზანშეწონილად მიმაჩნია რესპუბლიკის ფარმაცევტთა მეორე ყრილობა გადაიდოს მომავალი წლის გაზაფხულამდის, ან იანვრის ბოლო რიცხვებამდის მაინც.

ხანდამაძე.

P. S. აქ გამოთქმულ აზრს იზიარებს მოსამ. ფარმაცევტთა ერთი ჯგუფი.

ს. მ.

სახალხო გვარდიაში

ქ. ზესტაფონი (შორაპნის მაზრა). 19 ნოემბერს ადგილობრივ საკრებულოში შორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბის ინიციატივით სცენის მოყვარე გვარდიელების მიერ ამხ. არ. არეშიძის ხელმძღვანელობით გამართულ იქნა საღამო-წარმოდგენა. წარმოდგენილი იყო ისტორიული დრამა ვ. გუნიასი—„და-ძმა". დაესწრნენ როგორც გვარდიელები, ისე გარეშე საზოგადოებაც. წარმოდგენა საერთოდ კარგად ჩატარდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდნენ: მარინე (ქ-ნი ჯუღელი) და გიორგი (არ. არეშიძე), რომელთა მოხდენილი თამაშით საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დარჩა. წარმოდგენიდან შემოვიდა 18,200 მან. გასავალი იყო 3450 მანეთი, წმინდა შემოსავალი დარჩა 14750 მან.

შორაპნის საოლქო გვარდიის შტაბი დიდ მადლობას უცხადებს ჯუღელს, რომელიც საზოგადო საქმის სიყვარულისთვის 3—4 ვერსის მანძილზე ფეხით დაიარებოდა ზესტაფონში რეპეტიციებზე და ამხ. სცენის მოყვარეთ გვარდიელებს, რომლებმაც თავიანთი მუყაითი შრომით ხელი შეუწყვეს პიესის სასურველად ჩატარებას.

—

თანახმად მთავარი შტაბის განკარგულებისა, შორაპნის გვარდიის შტაბმა მობილიზაციით გამოწვეული შორაპნის ოლქის გვარდიელები დროებით, 9 დღის ვადით, 29 ნოემბრამდე დაითხოვა სახლში. 29 ნოემბერს დილის 9 საათზე ყველა გვარდიელები დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადდნენ საოლქო შტაბში თავ-თავიანთ გუნდებში ჩასარიცხავათ, რომ ბათალიონი 29 ნოემბერს მზად იქნეს ყოველ შემთხვევისათვის.

—

შორაპნის საოლქო გვარდიის შტაბმა დაადგინა: ბილის ჩხარის რაიონში საყანე—30 დესიატინა და ქართოფილის დასათესათ ერთი დესიატინა სათესი მიწა, რისთვისაც სათანადო შუამდგომლობა აღძრა საოლქო შტაბმა შორაპნის სამაზრო ერობის წინაშე.

წიკა.

—

28 ნოემბერს ყველა ორგანიზაციებმა დიდის პატივით მოიგონეს ფრიდრიხ ენგელსის ხსოვნა და, სხვათა შორის, საგანგებო ბათალიონმაც უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთი წინეთ გამართული საღამო ან წარმოდგენა ისე არ ყოფილა სავსე შინაარსით, როგორც იყო ამ დღეს. ფარდა აიხადა და გამოჩნდა მშვენივრად მორთული სცენა, რასაც ამშვენებდა ენგელსის სურათი სხვა გამოჩენილ სოციალისტების სურათებთან ერთად. თავმჯდომარემ მოკლედ გაცნო საზოგადოებას (რომელიც უმთავრესად გვარდიელებისაგან შესდგებოდა) საღამოს დანიშნულება. შემდეგ წაკითხული იქნა ენგელსის ბიოგრაფია. წაკითხული იქნა აგრეთვე კარლ კაუცკის სიტყვა.

მეორე განყოფილებაში იქნა გერგესლის პიესა „თავისუფლების გარიჟრაჟზე". პიესა მეტად შინაარსიანია და შესაფერი დღისათვის. ცენტრალური ფიგურა ამ პიესაში არის სამსონი. მართალია, ტეხნიკური მხარე ჩვენი თეატრისა მეტად ხელშემშლელ პირობას წარმოადგენდა როლის უკლებლივ შესრულებისათვის, მაგრამ სამსონის როლის ამსრულებელს ის დიდათ ვერ უშლიდა ხელს. პიესის ძლიერებას წასიერი სცენა აგვირგვინებს. მღელვარება, გამოწვეული უბადლო სიხარულით, მათი რევოლიუციონური სიმღერა და სხვა ადგილები პიესას მთლიან სახეს აძლევს, მაგრამ სამწუხაროთ ეს ადგილები პიესისა მეტად სუსტად იყო წარმოდგენილი. სამსონის შემოსვლის დროს კამერაში განთავისუფლებული ტუსაღები—ეს დატყვევებულნი არწივნი უფრო მოკრძალებით მიხოვნილ მოქალაქეებს ჰგავდნენ, გარდა მეტრომისა და ორი სხვა ტუსაღისა. რასაკვირველია, ყველა ამ ზემო, ჩამოთვლილ ნაკლზე გვარდიელებს ყურადღება არ მიუქცევიათ. მათ ყურადღებას უფრო, როგორც ყოველთვის, პიესის მიმზიდველი შინაარსი იპყრობდა. ამ მხრით გვარდიელები მეტად კმაყოფილნი დარჩნენ.

მე 3 განყოფ. შეადგენდა დივერტისმენტი, სადაც ცნობილ მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრებაზე მომღერალ პოეტების მიერ წაკითხულ იქნა თავიანთი მგრძნობიარე და შინაარსიანი ლექსები. ლექსები წაიკითხეს აგრეთვე გვარდიელებმაც. გვარდიელების მომღერალთა გუნდის მიერვე შესრულებულ იქნა სხვა და სხვა სიმღერები. ამით დასრულდა მთელი საღამო.

ბაგ. ხე—ძე.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 25 ნოემბერს ამხ. ს. ფადაპიარიას თავმჯდომარეობით შესდგა [illegible] რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ცენტრალურ კომიტეტიდან; 2) მომარაგების სამინისტროს მუშაობის შესახებ; 3) კლუბის წევრების განხილვა; 4) მოხსენება ამხ. ფ. აბესაძისა; 5) პარტიის წევრთა გაცხრილვა; 6) ამხ. გ. მიჭავარიანის განცხადება.

ცენტრალურ კომიტეტის უკანასკნელი დღეების მუშაობის შესახებ ამხ. გ. უსუპაშვილის მოხსენების შემდეგ სხდომა ღიად სტოვებს საკითხს ცენტრ. კომიტეტის წევრთა სხდომაზე დასწრების შესახებ. ის ადგენს შეტანილ იქნეს თფილისის კომიტეტში წინადადება, რათა მან აღძრას ცენტრ. კომიტეტში საკითხი, კომიტეტის წევრ მუშაკთათვის სხდომაზე დასწრების დროს დაკარგულ დღიური ანაზღაურების შესახებ. მომარაგების სამინისტროს მუშაობის შესახებ სხდომა ადგენს, ამ დღეებში კოლექტივისა და მცირე კოლექტივების გაერთიანებულ კრებაზე მოწვეულ იქნეს მომარაგების მინისტრი, რომელიც გააკეთებს ვრცელ მოხსენებას სამინისტროს მუშაობის შესახებ და სავსებით ამოსწურავს წამოყენებულ კითხვებს. კლუბის წევრთა შესახებ კრება ადგენს მოწვეულ იქნეს კოლექტივისა და გამგეობის სხდომა და იქ განხილულ იქნეს წესდების სადაო მუხლები. ამხ. ფ. აბესაძის განცხადების შესახებ, სხდომა ავალებს კოლექტივის ყველა წევრთ, განსაკუთრებით კი პრეზიდიუმს და ქალთა ორგანიზაციას მიიღოს სათანადო ზომები შესაფერი საბუთების აღმოსაჩენად. მეხუთე კითხვის შესახებ სხდომა საჭიროთ სცნობს გადასინჯულ იქნეს პარტიის წევრთა სია და გამორიცხულ იქნეს პარტიიდან ყველა ის პირნი, რომელნიც თავისი მდგომარეობით თუ მოქმედებით არ არიან ღირსნი პარტიის წევრობისა. პარტიის წევრთა სიის გადასასინჯავათ არჩეულ იქნა ხუთი პირ საგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიეცა ფართე კომპეტენციის უფლება. უკანასკნელი კითხვის შესახებ კრებამ მოისმინა ამხ. გ. მიჭავარიანის განცხადება კონსტიტუციის განხილვის დროს დამფუძნებელ კრებაში ამხანაგების დასწრების შესახებ და სასურველათ სცნო მიღებულ იქნეს სათანადო ზომები, რაც შეიძლება მეტი ამხანაგები ესწრებოდნენ სხდომას ამგვარ დიდ სახელმწიფოებრივ საკითხების განხილვის დროს.

X.

—

რკინის გზის სამმართველოს ს.-დემ. მცირე კოლექტივმა თავის სხდომაზე 5 ნოემბერს დაადგინა: ნოე გიორგაძე, რომელიც დაპატიმრებულ იქნა ყალბი საბუთით ხინის გამოტანისთვის მთავრობის აფთიაქიდან და ამ ხინის სპეკულატიურ ფასებში გაყიდვისთვის, გამორიცხულ იქნეს ს.-დ. პარტიის წევრთა სიიდან.

ეს დადგენილება ეცნობა მეორე რაიონულ კოლექტივს.

მუშათა შორის

ბათუმი. ექსპორტისა და იმპორტის იტალიურ საგენტომ ფ. ვალეცცის პირით განცხადება შეიტანა ბათუმის შრომის კომისართან, სადაც ნაჩვენები იყო, რომ ნავთსადგურის მუშები მუშაობენ არა უმეტეს 4 ნახ. საათისა დღეში; მათი მუშაობა იმდენათ მცირე ნაყოფიერია, რომ ამ დროს განმავლობაში მათი შრომა შეიძლება შევადაროთ ევროპის მუშათა 2 საათ. ს შრომას. ამის გამო გემები ხანგრძლივათ რჩებიან ადგილობრივათ, რაც, ნახშირის სიძვირისა და ეტლების შენახვის გამო იწვევს ზედმეტი ხარჯების გადიდებას; ხოლო უკანასკნელი თავის მხრივ აძვირებს საქონლის ღირებულებას. ამის გამო ევროპის საზოგადოება და ხომალდების კაპიტნები უარს აცხადებენ ქალ. ბათუმში გემების გაგზავნაზე რაც არ შეადგენს არც საქართველოს და არც ევროპის ინტერესებს. ამ საკითხის განსახილველად შრომის კომისარმა მოიწვია თათბირი, რომელზედაც დაესწრნენ ორი წარმომადგენელი ნაპირზე მომუშავეთა კავშირიდან არტელი „ვარსკვლავი" და პროფესიონალურ კავშირის არტელიდან, საბაჟოს წარმომადგენელი კონსტანტინოვი და ვალეცცი.

თათბირმა სცნო რა ნავთსადგურზე საქმის ასეთი მდგომარეობა არა ნორმალურად- ერთხმად დაადგინა: 1) ნავთსადგურზე საქონლის დატვირთვა და გადმოტვირთვაზე ყოველგვარი სამუშაო უნდა სწარმოებდეს დილის 9—12 საათამდე და 1-დან საღამოს 5 საათამდე ახალი დროთი. ამ დროს განმავლობაში ღია უნდა იყოს ყველა პაკგაუზები და საბაჟოს საწყობები, რაზედაც ეთხოვოს საბაჟოს გამგეს.. 2) იმისათვის, რომ მუშებს არ მოუხდეთ ლოდინი, საქონლის გამგზავნნი ვალდებულნი არიან გამოიწვიონ ისინი როცა ტვირთი მზათ იქნება დასატვირთავათ ან გადმოსატვირთავათ.

3) საბაჟოს მოხელენი ვალდებულნი არიან აღნიშნულ საათებში თავიანთ ადგილზე იყვნენ.

მუშათა და საქონლის გამგზავნელთა შორის რაიმე გაუგებრობის დროს უნდა ეცნობოს შრომის კომისარს საჭირო ზომების მისაღებათ.

ამ დადგენილებებს შრომის კომისარმა შემდეგი რეზოლიუცია წააწერა: „თათბირის ეს დადგენილებები დამტკიცებულ იქნას და გაეგზავნოს ნაპირის მუშათა პროფ. კავშირს და ყველა დაინტერესებულ დაწესებულებებს სახელმძღვანელოთ".

პროვინცია

სოფლის თემების ცხოვრებიდან.

მიმდინარე წლის აგვისტოდან მე შევუდექი სენაკის მაზრის თემების რევიზიას. ჩემი მოვალეობა იყო ერთი მხრივ სათანადო დირექტივების მიცემა სახელმძღვანელოთ მართვა-გამგეობის სფეროში, მეორე მხრივ ბოროტ მოქმედებათა აღმოჩენა. ასეთმა მოგზაურობამ ნაყოფი გამოიღო როგორც ერთ, ისე მეორე სფეროშიც. არც ერთი თემის გამგეობამ არ იცოდა თავის მოვალეობის დანიშნულება, ბოროტებასაც ბევრ ალაგას ჰქონდა ადგილი, როგორიცაა საფონდო სიმინდის, ერთ დროული და სანიტარული გადასახადიდან აკრეფილ ფულების გაფლანგვა, დეზერტირების დამალვა, მექრთამეობა და სხვა. უფრო მეტად ამწვავებდა საქმეს გამგეობის მხრივ საქმის უცოდინარობა. სათანადო დირექტივებმა და მტკიცე რევიზიამ მიაღწია სასურველს შედეგს. თემებმა საკმარისათ შეიგნეს თავის მოვალეობა, ბოროტ მოქმედნი დაპერილნი და პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი. გაიგეს რა დანარჩენებმა, რომ მათ მოქმედებას მტკიცე კონტროლი დაენიშნა სამაზრო ერობის მიერ, ფრთხილად დაუწყეს საქმეს ხელის მოკიდება. ასე რომ, წინეთ თუ სამაზრო ერობის კანცელარია გავსებული იყო საჩივრებით, ამა თუ იმ გამგეობის წევრის მოქმედების შესახებ და პირადი მომჩივანი დღით დღე აწყდებოდენ სამაზრო ერობის სამმართველოს კარებს, დღეს ასეთებს ადგილი არა აქვს, წინეთ თუ სამაზრო ერობას და წვრილ ერთეულებთა შორის არ არსებობდა შეთანხმებული ძაფი და მათ შორის არ იყო საერთო ენა, დღეს ისინი დაახლოვებულნი არიან, როგორც სწორი ინფორმაციით—აგრეთვე თავისი შეგნებით. ეს ჰქნა პერიფერიებში გადასვლამ, ხალხთან დაახლოვებამ, ახსნა განმარტებამ და ბოროტ-მოქმედების ალაგმვამ. მაგრამ მარტო ეს არ კმარა საქმისთვის. მთავარი ჩვენი ყურადღება უნდა მივაქციოთ პროვინციებში თვით მართველობის საქმის გამარტივებას. საზოგადო თემები უნდა დანაწილდეს უფრო წვრილი თემებად. ამის შესახებ წინეთ არსებობდა შემდეგი მიდრეკილება. მოწინავე ამხანაგები მოითხოვდენ რამოდენიმე თემის შეერთებას, მოყავდათ თავიანთი მოსაზრებები, რომელიც ერთის შეხედვით სმენელს მართალი ეგონებოდა, მაგრამ ცხოვრების სინამდვილემ უფრო სხვა დაგვანახვა. რამდენათ დიდი იყო თემი მცხოვრებლების რაოდენობით, იმდენად იქ მართვა გამგეობა გართულებული და ბოროტ-მოქმედება მეტი. რამდენათ კი მცირე რიცხოვანი თემი მცხოვრებლებით, იმდენად იქ მართვა გამგებლობა მარტივი და ბოროტებაც იშვიათი. მაგალითისთვის მოვიყვან სენაკის მაზრის რამოდენიმე თემებს. კვათანის და თეკლათის თემში, თითოში არის 1500—2000 მცხოვრები, პატარა წყემი და ჭოლობნის თემში 200—300 მცხოვრები. პირველ ორ თემში მაუხედავათ შედარებით მეორესთან, საუკეთესო ძალების ყოლისა, საქმეების არევ-დარევა, დეზერტირობა და საქმეების არა თავის გართვა, მეორე ორ თემში, საქმეების თავის დროზე შეგნებულათ ამოწურვა, გზა-ხიდების გაკეთება, სკოლების გაშენება, ქურდ ყაჩაღების და დეზერტირების სასტიკი დევნა. ამასთან ერთად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ საშინელი ცუდი გზების გამო, რომლის გაკეთება სოფლათ არც ისე ადვილია, სამი ოთხი ვერსით სამმართველოდან დაშორებული მცხოვრებლებს უჭირდებათ სამმართველოში მისვლა საჭირო საქმის გამო და არც თემის გამგეობის წევრებიც წვდებიან ამდენა სივრცეზე დასახლებულ მცხოვრებლებს, რომლის გამო საჭირო და საჩქარო საქმის გაკეთება მიუღწეველია. აქედან კი იბადება გაუგებრობა ხალხის და თემის მმართველთა შორის, რომელიც იწვევს ხალხის მიერ ხშირათ საყვედურს და უკმაყოფილებას. მასთან ადგილობრივი ხმოსნები რამოდენიმე ვერსით დაშორებულნი სამმართველოდან, განსაკუთრებით ზამთრობით გზის სიშორისა და წყალდიდობის გამო ვერ იკრიბებიან საჭირო დროს და ვერც სათანადო თვალყურის დევნის საშუალება აქვთ გამგეობის მოქმედებაზე. პატარა თემი კი, სადაც მცხოვრებლები ახლო არიან სამმართველოსთან, უფრო ადვილათ ახერხებენ და საქმეც კარგათ მიყავთ. წინეთ სამაზრო ერობაში შემოდიოდა ამა თუ იმ თემის მცხოვრებლებიდან თხოვნა—გამოყოფის შესახებ, სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა მთელი თავისს შემადგენლობით წინააღმდეგ ილაშქრებოდა, რომ როგორმე ჩაეშალა ხალხის ასეთი მოთხოვნილება და, ვინ იცის, ამის შესახებ რა ზომებს არ მიმართავდა, მაგრამ ხალხის სრულიად ბუნებრივმა მოთხოვნილებამ დაძლია ერობის გამგეობის ხელოვნური წინააღმდეგობა და რამოდენიმე დიდი თემები დანაწილდა. ეს პატარა თემები საუკეთესო ნიმუშს იძლევიან მართვა გამგეობის სფეროში. არის მეორეს მხრივ ხალხის სულისკვეთება კოლეგიალური გამგეობის შესახებ. სოფლის მუშას ზედმეტად მიაჩნია კოლეგიალური გამგეობა. ის ხედავს აქ ოთხი ხუთი კაცის შენახვისთვის მეტი ხარჯის გაღებას და საქმის გაკეთების მხრივ ნაკლებ ენერგიას. ხედავს აგრეთვე მეტ დაუდევრობას და ბოროტმოქმედების დროს უპასუხისმგებლობას და, მართლაც, გამგეობის წევრთა შორის სოფლის მუშა ვერ ერკვევა, რომელია მათ შორის მტყუანი და რომელი მართალი, ვინაიდან საქმის წახდენას თავმჯდომარე აბრალებს მდივანს, მდივანი ადმინისტრაციის გამგეს, უკანასკნელი მეორეს და ხშირად კი მდივანი, როგორც არჩეული, სრულიად არ ემორჩილება თავმჯდომარეს და სოფლის მუშა გზა-კვალ აბნეული და ხშირად კი ასეთი თვითმართველობის პრინციპიალური წინააღმდეგი უნებურათ ბრუნდება სახლში. ასე რომ, სოფლის მუშა მოითხოვს თემის თავს და დაქირავებულ მდივანს. ასეთი ტენდენცია მოწინავეებშიც არის. ზოგიერთები კი წინააღმდეგია ამის და კოლეგიალური გამგეობას მოითხოვენ, რადგანაც უკანასკნელი მიაჩნიათ დემოკრატიულად. ჩემის აზრით კი ორივე დემოკრატიულია, პირველიც და მეორეც, ვინაიდან ორივე ხალხის მიერაა არჩეული და ჰყავს თავისი საბჭო, რომელიც უწევს კონტროლს და აძლევს სათანადო დირექტივებს. აი ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ყურადღება და სათემო დებულებების შემუშავების დროს მიღებულ იქნას მხედველობაში.

თემების დაყოფა უფრო წვრილ ერთეულებათ, თემის თავი და მტკიცე კონტროლის უფლების მინიჭება სამაზრო ერობის გამგეობას—აი რა არის დღეს საჭირო.

ივლიანე კოკაია.

სი იყო არა მარტო მედგარი, შეუდრეკელი მებრძოლი და ღრმა, გენიალური მოაზროვნე, არამედ აგრეთვე დიდი ბუნების კაცი, რომელიც მსხვერპლის გაწევის და თვითგანწირვის უმაღლეს ძალას იჩენდა.

1870 წლიდან ენგელსმა შესძლო თავი დაეხსნებინა საკანტორო მუშაობისათვის, რენტით ეცხოვრა და მთელი თავისი დრო მეცნიერებისა და პოლიტიკისათვის მოეხმარებინა. მაგრამ ამის შემდეგაც ის მუდამ უწყობდა ხელს თავის მეგობარს. და ამნაირათ შეძლება აძლევდა მას მთელი თავის ყურადღება დიად მეცნიერულ შრომისათვის მიეპყრო. ენგელსმა კი აილო თავის თავზე ვრცელი მიწერ-მოწერა სხვადასხვა ქვეყნების ხელმძღვანელ სოციალისტებთან. აგრეთვე თეორიის დაცვა და გამოყენება ყოველდღიურ ბრძოლაში.

მართალია, ენგელსი მარქსს თავის თავზე მაღლა აყენებდა, მაგრამ ეს მას არ უშლიდა თავისუფალი და ორიგინალური მოაზროვნე დარჩენილიყო.

მარქსისა და ენგელსის მიწერ-მოწერის გაცნობა დიდს და თავისებურ სიამოვნებას გვრის ადამიანს. ეს მიწერ-მოწერა აშკარად გვარწმუნებს, რომ მათი შეხედულებები ერთი-ერთმანეთის აზრთა გაცვლა-გამოცვლაში იქმნებოდა და ძნელია იმის თქმა, თუ რომელი უფრო ძლიერია ამ ორ მოაზროვნეში.

ჩემის ცნობით ისტორიამ არ უნდა იცოდეს მეორე მაგალითი აზროვნების ორი გუმბერაზის ასეთი ერთგული მეგობრობის და მჭიდრო თანამშრომლობის. ჩვეულებრივათ გენიოსი განმარტოვებულია თავის სიდიადეში. ამ ორ გუმბერაზ მოაზროვნეთა გონებრივი მოღვაწეობის ნაწარმოებიც ისეთივე იშვიათია, როგორც მათი თანამშრომლობის მაგალითი. ეს ნაწარმოები მოწმობს სრულიად განსაკუთრებულ ცხოველ ძალას, რომლის მსგავსი ჩვენი დროისათვის წარმოუდგენელია.

კაპიტალიზმის ხანას მარტო ტეხნიკის განუწყვეტელი რევოლიუცია და მის მიერ გამოწვეული ეკონომიური ურთიერთობის ცვლილებადობა როდი ახასიათებს. ამასთან ერთად იცვლება აგრეთვე სახელმწიფოთა საშინაო და საგარეო ცხოვრების პირობები, მეცნიერული სისტემები, ხელოვნების მიდრეკილებანი. ყოველი სფერო განიცდის ჩქარსა და განუწყვეტელ ცვალებადობას.

ეს ცვალებადობა არ შეეხებია მხოლოდ მარქსიზმს. ორი წლის წინად ჩვენ ვდღესასწაულეთ მარქსის დაბადების მეასე წელი. ეხლა ვდღესასწაულობთ ენგელსის დაბადების დღის ასი წლის თავს. ის იდეები კი, რომელთაც მათ სამოცდა ათი წელზე მეტია საფუძველი ჩაუყარეს, დღეს ისეთ ცხოველ ძალას იჩენენ, როგორც არასოდეს. მართალია, ზოგი მათი აზრები წარმოშობილი იყო იმ ურთიერთობის ნიადაგზე, რომელიც სავსებით წარსულს ჩაბარდა, და ზოგი რომ ახალი მოვლენაც წარმოიშვა, რომელთა გათვალისწინება მათ არ ძალუძდათ. მათი ყოველივე აზრის განურჩევლად და უკრიტიკოთ, როგორც სარწმუნოების მცნების, აღიარება და ამ აზრებზე უდარდელად ლოცვა, რა თქმა უნდა, უაზრობა იქნებოდა. მათი ყოველივე აზრის ამნაირად მიღება ეწინააღმდეგება სწორედ იმას, რაც—ადამიანის საზომით რომ გავზომოთ—უკვდავი და გარდუვალია მარქსის და ენგელსის შემოქმედებაში: ეწინააღმდეგება ისტორიულ მატერიალიზმის მეთოდს, რომელიც არ სცნობს მუდმივ ჭეშმარიტებას, ყოველივე მოვლენას და იდეას განვითარების პროცესში იხილავს და ამასთანავე იკვლევს ამ განვითარების კანონებს, რომელთ თავის ნებასურვილზე გადალახვას ვერავითარი ძალა ვერ შესძლებს.

ეს მეთოდი დღეს თითქოს აღიარებულია ფართო სოციალისტურ წრეებში, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ის ყველგან სავსებით ვერ შეითვისეს და ვერ გამოიყენეს. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც დაიწყო ამ მეთოდის ცხოველმყოფელი გავლენა ისტორიულ მეცნიერებისა და სოციალურ სინამდვილეზე. თუ ჩვენ შევსძლით ამ მეთოდის სავსებით შეთვისება, ის საშუალებას მოგვცემს დიდი სამსახური გაუწიოთ პროლეტარიატის განმანთავისუფლებელ ბრძოლას, მთელი კაცობრიობის განთავისუფლების საქმეს. ის, რაც მარქსისა და ენგელსის უძვირფასეს ნაწილს შეადგენდა, არ მომკვდარა მათთან ერთად. ის უნდა ვაცოცხლოთ ჩვენში, გავიხადოთ ჩვენს საუკეთესო ნაწილად. ამაში მდგომარეობს ჩვენი დიდი მიცვალებულების უკვდავება და ამგვარი მათი უკვდავება გვწამს კიდეც ჩვენ.

რედაქტორი ლევან ჩათაძე

განცხადებანი

სპეციალისტი მასწავლებლები
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს.
(3108—1—1)

კერძო სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. მ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914".
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი
პ. ვ. ხანდამოვი
სპეციალურად სიფილისი („914" და „606" შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დღის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი).
(1 იანვ.)

ქ. ვ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. [illegible] ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
(23—დეკ.)

ექიმი
ა. ს. [illegible]
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს დილ 12—2 ს. საღამო 4—6 ს. ოლღას ქუჩა № 35.
(18—დეკ.)

ექიმი მ. ა. შაურანი
სპეციალურად სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 [illegible] ქ. № 23. (21 დეკ.)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ-ნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. № 5, გოკიელისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12—დეკ.

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.)

ექიმი
ე. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ქ. № 23, [illegible]

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკის ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალების საღამოს 5—6 საათ.
(13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულებების
სამკურნალო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკერიასი
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროფესორ „აპოლოს" მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასწოლი ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნდისკოპია ([illegible] მიღება). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და [illegible] ლისა. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 4—8 საათამდე.
11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ც. ლორის-მელიქოვი
ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 26, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.)